პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

ხუთშაბათი
14
იანვარი
1937 წ.
№ 11 (4813)

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო.

დღეს გაზეთშია:

— ლავრენტი ბერია — ღირსშესანიშნავი თარიღი
— სსრ კავშირის VII მოწვევის ცაკის III სესიის გახსნა
— სსრ კავშირის საფინანსო პროგრამა 1937 წლისათვის (ამხ. გრინკოს მოხსენება).
— ქართული ხელოვნების დეკადა მოსკოვში
— კ. ი. ბქუასელი — საქმით ვუპასუხოთ ამხ. ლ. ბერიას მომართვებს! (ფელეტონი).

უცხოეთში:
— ესპანეთის ფრონტებზე
— მოწინააღმდეგე უკუქცეულია
— ინიციატივა რესპუბლიკის ჯარების ხელშია
— გერმანელებმა დაიწყეს 420 მილიმეტრიანი ქვემეხების დადგმა სეუტაში
— ფაშისტმა პირატებმა დააკავეს საბჭოთა გემი „სმიდოვიჩი“

ლავრენტი ბერია

ღირსშესანიშნავი თარიღი

(ბათომის პარტიული ორგანიზაციის 35 წლისთავი)

35 წლის წინათ, 1902 წლის 1 იანვრის (ძველი სტილით) წინაღამეს ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ორგანიზაციულად ჩამოყალიბდა რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათომის პირველი კომიტეტი.

არა გვგონია შეიძლებოდეს გადამეტებულად შეფასება ამ ფაქტის უდიდესი პოლიტიკური და ორგანიზაციული მნიშვნელობისა იმ ბრძოლის ისტორიაში, რომელსაც საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაცია მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ეწეოდა.

იმ დროს ბათომი მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა. 1893 წელს დამთავრდა ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობა, რომელმაც ბათომი ბაქოს შეუერთა.

უკვე 1898 წელს ბათომში იყო 10-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო: ბიდონის ქარხნები როტშილდისა, მანთაშევისა, ზიდელისა და სხვათა, თამბაქოს ორი ფაბრიკა, თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა, ლურსმნის ქარხანა, მინერალური წყლების ქარხანა, რამდენიმე ნავთსასხმელი სადგური და სხვ. 1900 წელს დამთავრდა ბაქო-ბათომის ნავთსადენი. მუშათა საერთო რიცხვი 4.000 კაცს აღემატებოდა.

მუშათა მდგომარეობა მეტისმეტად მძიმე იყო. ბათომის პროლეტარიატის ეკონომიურ ექსპლოატაციას აძლიერებდა მეფის თვითმპყრობელობის წარმომადგენელთა ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის მკაცრი პოლიტიკა. სამუშაო დღე ქარხნებში აღწევდა 14 საათს, ხოლო სავალდებულო ზედმეტი საათების მუშაობასთან ერთად — 16-17 საათს. მუშათა ხელფასი ქანაობდა დღეში 60 კაპიკიდან 1 მანეთამდე.

ყოველივე ამან ბათომის მუშებში გამოიწვია პროტესტების ნაპერწკლები, მაგრამ მათ სტიქიური, შემთხვევითი და არაორგანიზებული ხასიათი ჰქონდათ.

1896 წელს რუსი სოციალ-დემოკრატები ივანე ლუზინი და გიორგი ფრანჩესკი შეეცადნენ შეეკავშირებინათ ქალაქის მუშათა მასები. მათ მიერ შექმნილ სოციალ-დემოკრატიულ წრეში სწარმოებდა მარქს-ენგელსის მოძღვრების პროპაგანდა. მაგრამ წრეს არ ჰქონია რამდენადმე მნიშვნელოვანი კავშირი ბათომის პროლეტარიატის მასებთან. 1898 წლის დამდეგს ეს წრე განადგურებულ და ლიკვიდირებულ იქნა მეფის პოლიციის მიერ.

შემდგომ ორ წელიწადს ქართველი ლეგალური მარქსისტები—ქართველ მენშევიკთა მომავალი ლიდერები — ისიდორე რამიშვილი და კარლო ჩხეიძე ბათომში ეწეოდნენ ლეგალურ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას და სჯერდებოდნენ მხოლოდ იმას, რომ მუშათა საკვირაო სკოლაში კითხულობდნენ ლექციებს ზოგად-საგანმანათლებლო საკითხებზე. ნამდვილ რევოლუციურ პროპაგანდაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ისიდორე რამიშვილი და კარლო ჩხეიძე ფიქრობდნენ, რომ ქალაქ ბათომის პირობებში შეუძლებელი იყო არალეგალური პოლიტიკური მუშაობის წარმოება.

რსდმპ თბილისის კომიტეტმა, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, მოაწყო თბილისის პროლეტარიატის საგაფიცვო ბრძოლა. 1901 წლის 22 აპრილს თბილისის ქუჩებში პირველად გაიარა მუშათა საპირველმაისო მასობრივმა დემონსტრაციამ, რომელიც ერთერთი პირველი დემონსტრაცია იყო ამიერკავკასიაში. დემონსტრაცია დამთავრდა მეფის პოლიციასთან შეიარაღებული შეტაკებით. ინტენსიურად მუშაობდნენ არალეგალური სოციალ-დემოკრატიული წრეები, რომელთა უმრავლესობას უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა ამხანაგი სტალინი. ასეთივე წრეები მოეწყო ბაქოშიც და მათ ხელმძღვანელობდა თბილისიდან ბაქოში ჩასული ამხ. კეცხოველი.

1901 წლის სექტემბერს ბაქოში გამოვიდა არალეგალური გაზეთი „ბრძოლა“ — რსდმპ თბილისის კომიტეტის — ისკრელთა ორგანო.

რევოლუციური მოძრაობის ამ მნიშვნელოვანი გამოცოცხლების ფონზე ბათომის „ჩამორჩენა“ შეუწყნარებელი იყო. ამიტომ 1901 წლის ნოემბრის დამდეგს, რსდმპ თბილისის კომიტეტის დავალებით, ბათომში ჩავიდა ამხანაგი სტალინი.

ბათომში ჩასვლისთანავე ამხანაგმა სტალინმა კავშირი გააბა მოწინავე მუშებთან და ბათომის მსხვილ საწარმოებში მოაწყო სოციალ-დემოკრატიული წრეები.

ამხანაგი სტალინი ბათომის მუშებში თანმიმდევრობით იცავდა რევოლუციური მარქსიზმის იდეებს და ეწეოდა მათს პროპაგანდას.

მარტო 1901 წ. დეკემბრის განმავლობაში ამხანაგმა სტალინმა მოახერხა 11-ზე მეტი მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრის შექმნა, რომელთა მუშაობასაც პირადად იგი ხელმძღვანელობდა და თითქმის ყოველდღე ატარებდა მეცადინეობას 2-3 წრეში.

ბათომის „ოხრანკა“ ამხანაგ სტალინის მუშაობის შესახებ იუწყებოდა: „სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარებამ დიდ წარმატებებს მიაღწია, როცა 1901 წ. შემოდგომაზე რსდმპ თბილისის კომიტეტმა ქალაქ ბათომში ქარხნის მუშებს შორის პროპაგანდის გასაწევად მიავლინა ერთერთი თავისი წევრი იოსებ ბესარიონის-ძე ჯუღაშვილი, თბილისის სასულიერო სემინარიის მე-6 კლასის ყოფილი მოსწავლე. ჯუღაშვილის საქმიანობის მეოხებით ბათომის ყველა ქარხანაში დაიწყო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დაარსება, რომელთაც პირველ ხანებში თბილისის კომიტეტი მეთაურობდა“ (საქართველოს ცენტრარქივი, მოხსენება ქუთაისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის თანაშემწისა ბათომის ოლქში, საქმე № 1011).

ამხანაგ სტალინის ეს უდიდესი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა 1901 წლის დამლევს დაგვირგვინდა რსდმპ ბათომის პირველი კომიტეტის შექმნით.

1902 წლის 1 იანვრის წინაღამეს ამხანაგმა სტალინმა მოიწვია მუშათა წრეების კონფერენცია. დაესწრო დაახლოვებით 25-30 კაცი.

კონსპირაციის მიზნით კრება ჩატარდა ახალწლის შეხვედრის საბაბით.

ამხანაგი სტალინი ამ კრებაზე 4-5-ჯერ გამოვიდა ბრწყინვალე სიტყვებით რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისა და მუშათა კლასობრივი ბრძოლის ამოცანების შესახებ.

კონფერენციამ გამოჰყო ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფი ამხანაგ სტალინის მეთაურობით. ამ ჯგუფმა ფაქტიურად შეასრულა რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათომის კომიტეტის როლი.

კომიტეტის არჩევის შემდეგ კიდევ უფრო ინტენსიურად გაჩაღდა მუშაობა.

1902 წლის იანვარში ამხანაგმა სტალინმა მოახერხა პატარა არალეგალური სტამბის მოწყობა. პირველად სტამბა მეტად პრიმიტიული იყო და მოთავსებული იყო იმ ბინაზე, სადაც თვითონ ამხანაგი სტალინი ცხოვრობდა, მაგრამ შემდეგ ამხანაგმა სტალინმა გააფართოვა და გააუმჯობესა სტამბის ტექნიკა: თბილისიდან ჩაიტანეს საბეჭდი დაზგა, კასები და შრიფტი.

ბათომში ამხანაგ სტალინის ჩასვლამ და მისმა რევოლუციურმა ბრძოლამ შეაშფოთა „მესამე დასის“ უმრავლესობის ბათომელი მომხრეები — მომავალი მენშევიკები — კარლო ჩხეიძე და ისიდორე რამიშვილი.

ეშინოდათ რა თავისი ტყავისა, მათ არაერთხელ მიუგზავნეს ამხანაგ სტალინს კაცები და თვითონ პირადად ურჩევდნენ მას წასულიყო ბათომიდან, ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ამხანაგი სტალინი, რომ სულერთი იყო, იგი ვერ შესძლებდა არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მოწყობას „ბნელ და ჩამორჩენილ ბათომელ მუშებს“ შორის.

როცა მათმა რჩევამ არ გასჭრა, ი. რამიშვილი და კ. ჩხეიძე გადავიდნენ პირდაპირ თავდასხმაზე, პროვოკაციულ და ცილისწამებით აღსავსე გამოსვლებზე ამხანაგ სტალინის წინააღმდეგ, გამოაცხადეს იგი „სამოსტინიკად“, „დეზორგანიზატორად“. ისინი ცალკე მუშებს იმასაც კი ურჩევდნენ, რომ ყური არ ეგდოთ ამხანაგი სტალინისათვის, აშინებდნენ რა მათ იმით, რომ ამხანაგი სტალინი მომაკვდინებელ საფრთხეში აგდებს მუშებს.

მომავალ მენშევიკთა ცდა, რომ ჩაეფუშათ ამხანაგ სტალინისა და ბათომის მოწინავე მუშათა უდიდესი პოლიტიკური მუშაობა, სრული დამარცხებით დამთავრდა. რსდმპ თბილისის კომიტეტის დახმარებით, საიდანაც ამხანაგი სტალინი ხშირად ჩადიოდა მისი მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, ბათომის მუშათა პოლიტიკური ბრძოლა სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა.

უკვე 1902 წლის იანვარს მანთაშევის ქარხანაში მოხდა მუშათა პირველი დიდი გაფიცვები, რომლებიც დიდი წარმატებით დამთავრდა. ადმინისტრაცია იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო, დაეკმაყოფილებინა მუშათა მოთხოვნები, ხოლო დათხოვნილი მუშები სამუშაოზე აღედგინა.

1902 წლის 27 თებერვალს როტშილდის ქარხანაში იფეთქა გაფიცვამ. გაფიცვის საბაბი გახდა იმ 389 მუშის დათხოვნა, რომლებზედაც ადმინისტრაციამ და პოლიციამ ეჭვი მიიტანეს, რომ ისინი მონაწილეობას ღებულობდნენ რევოლუციურ მოძრაობაში.

ამხანაგი სტალინი პირადად ხელმძღვანელობდა საგაფიცვო კომიტეტის მუშაობას, მან პირადად შეიმუშავა მუშათა მოთხოვნები ქარხნის ადმინისტრაციისათვის წარსადგენად, სწერდა ფურცლებსა და პროკლამაციებს და აწყობდა მათს ბეჭდვასა და გავრცელებას.

საგაფიცვო მოძრაობის ზრდამ, მუშათა დარაზმულობამ, სიმტკიცემ და განსაკუთრებულმა შეუპოვრობამ შეაშფოთა მეფის ხელისუფალნი. ბათომში ჩავიდა სამხედრო გუბერნატორი, რომელიც ცდილობდა მუქარით შეეწყვეტინა გაფიცვა. მაგრამ ამ მუქარამ ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო. მუშები მტკიცედ იდგნენ.

8 მარტის წინაღამით პოლიციამ დააპატიმრა 32 გაფიცული მუშა. ამის პასუხად ამხანაგმა სტალინმა 8 მარტს მოაწყო მუშათა მასობრივი მანიფესტაცია; მუშებმა წამოაყენეს ყველა დაპატიმრებულის განთავისუფლების მოთხოვნა. პოლიციამ შესძლო დაეპატიმრებინა და საეტაპო ყაზარმებში მოეთავსებინა 300-ზე მეტი მანიფესტანტი — მუშა. მაშინ მეორე დღეს, 9 მარტს, ამხანაგმა სტალინმა მოაწყო ბათომის როტშილდის, მანთაშევის ქარხნების, ნავსადგურის, რკინიგზისა და სხვა საწარმოთა მუშების კიდევ უფრო გრანდიოზული დემონსტრაცია. დემონსტრაცია რევოლუციური სიმღერებით, წითელი დროშებით გაემართა საეტაპო ყაზარმებისაკენ, მოითხოვდა რა დაპატიმრებულთა განთავისუფლებას. საეტაპო ყაზარმებთან მოხდა შეტაკება პოლიციასთან და ჯარებთან. ამის შედეგად მოკლულ იქნა 15 და დაიჭრა 54 მუშა.

ბათომის ძველი მუშა ამხ. ი. დარახველიძე მოგვითხრობს: „ამხ. სოსო (სტალინი) იმყოფებოდა მუშათა აბობოქრებულ ზღვაში, უშუალოდ ხელმძღვანელობდა მოძრაობას, სროლის დროს ხელში დაჭრილი მუშა გ. კალანდაძე მან თვითონ გამოიყვანა ხალხიდან და წაიყვანა ბინაზე“.

(ი. დარახველიძის მოგონებებიდან).

ბათომის მუშებთან მეფის ხელისუფალთა მიერ მხეცურად გასწორებამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. 9 მარტის ამბებთან დაკავშირებით, ამხანაგმა სტალინმა დასწერა მგზნებარე საბრძოლო პროკლამაცია, რომელიც სამარცხვინო ბოძზე აკრავდა საზიზღარ მკვლელებს, მეფის ჯალათებს და მოუწოდებდა მუშებს გლეხებსა და ყველა მშრომელს ცარიზმის რევოლუციურად დამხობისათვის.

ეს პროკლამაცია ფართოდ გავრცელდა ბათომში და საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში.

სტალინური წრეების, სტალინური გაფიცვებისა და დემონსტრაციების მონაწილეებს — დაახლოვებით 500 რევოლუციონერ მუშას, რომლებიც ბათომიდან გადაასახლეს, საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში მიჰქონდათ მეფისა და მემამულეთა წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის ლოზუნგები.

ბათომის 9 მარტის ამბებს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის განვითარების მხრივ. მათ გამარევოლუციონერებელი გავლენა მოახდინეს მთელს ამიერკავკასიაზე, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპირო რაიონში. ამ ამბებმა რამდენადმე მოამზადეს ნიადაგი შემდგომი რევოლუციური ამბებისათვის, რომლებსაც 1905 წელს ჰქონდათ ადგილი საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

8-9 მარტის ამბების შემდეგ პოლიციამ გაძლიერებით დაუწყო ძებნა ამხანაგ სტალინს. 1902 წლის 5 აპრილის წინაღამეს ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფის სხდომის დროს ამხანაგი სტალინი დააპატიმრა მეფის პოლიციამ და ჩასვა ბათომის ციხეში. აქ მან დაჰყო 1903 წლის 19 აპრილამდე და ამ ხნის განმავლობაში მას კავშირი არ გაუწყვეტნია ბათომის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელ პარტიულ ჯგუფთან, ციხიდან ხელმძღვანელობდა და წარმართავდა მის მუშაობას, ადგენდა წერილებსა და პროკლამაციებს.

1903 წლის 19 აპრილს ამხანაგი სტალინი გადაიყვანეს ქუთაისის საპატიმროში, სადაც იგი ნოემბრამდე იჯდა. იქიდან იგი ვლავ ბათომის საპატიმროში გადაიყვანეს, ხოლო 1903 წლის ნოემბრის დამლევს სამი წლით გადაასახლეს ციმბირს, ირკუტსკის გუბერნიაში.

○

საქართველოს და ამიერკავკასიის მთელი რევოლუციური მოძრაობა, მისი ჩასახვის პირველივე დღეებიდან, განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მუშაობასთან და სახელთან.

ბათომის 1901 წლის დამლევისა და 1902 წლის დამდეგის ამბები წარმოადგენენ ამიერკავკასიაში ამხანაგ სტალინის ცხოვრების, მუშაობისა და ბრძოლის ერთერთ მკაფიო ეპიზოდს.

აღნიშნავენ რა რსდმპ პირველი ლენინურ - სტალინური კომიტეტის ბათომში შექმნის დიდ ისტორიულ თარიღს, საქართველოს და მთელი საბჭოთა კავშირის ბოლშევიკები და მშრომელები სიხარულითა და სიამაყით იგონებენ, თუ დიდმა სტალინმა როგორ აღძრა პირველმა 35 წლის წინათ ქართველი ხალხი თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის უღლის წინააღმდეგ ძლევამოსილი რევოლუციური ბრძოლისათვის, თუ შემდეგ მუშათა კლასის ყველა მტერთან შეურიგებელ ბრძოლაში ამხანაგმა სტალინმა ლენინთან ერთად როგორ მოამზადეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და მიიყვანეს საბჭოთა კავშირის განთავისუფლებული ხალხები სასიხარულო და ბედნიერ ცხოვრებამდე.

(„პრავდა“, 12 იანვარი).

სსრ კავშირის VII მოწვევის ცაკის III სესია

სესიის გახსნა

11 იანვარს საღამოთი კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მე-7 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიამ.

სესიამ უნდა მოისმინოს და განიხილოს მოხსენება სსრ კავშირის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და ანგარიში სსრ კავშირის 1935 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე, ცაკის საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება და დაამტკიცოს დადგენილებანი, რომელნიც მიღებულია სსრ კავშირის ცაკის II სესიის მოწვევის დროიდან განვლილ პერიოდში და რომელნიც უნდა დაამტკიცოს III სესიამ.

ცაკის წევრები იკრიბებიან სასახლის დიდ დარბაზში. აქ არის საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მთელი შემადგენლობა. ლოჟებში დიპლომატიური კორპუსის წევრები არიან.

18 საათსა და 10 წუთზე პრეზიდიუმის ტრიბუნაზე გამოდიან ამხანაგები **სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, ანდრეევი, კოსიორი, პეტროვსკი, პოსტიშევი, ლუბჩენკო, ხრუშჩოვი, ჩერვიაკოვი, მუსაბეკოვი, აკულოვი, შვერნიკი, უნშლიხტი, ხაცკევიჩი, ჩუცკაევი.** დარბაზი ამხანაგ სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების გამოჩენას მხურვალე ოვაციით ხვდება. ცაკის წევრები ფეხზე ადგომით აღფრთოვანებით მიესალმებიან სსრ კავშირის ხალხთა დიდ ბელადს.

სსრ კავშირის ცაკის III სესია შეიკრიბა საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობის შემდეგ, რომელმაც სტალინური კონსტიტუცია მიიღო. სესიის ყველა მონაწილისა და სტუმრების თვალები მიპყრობილია ამხანაგ სტალინისაკენ — კონსტიტუციის შემომქმედის, ბრძენი მასწავლებლისა და ხალხთა საყვარელი ბელადისაკენ.

შესავალ სიტყვას ამბობს სსრ კავშირის ცაკის თავმჯდომარე ამხ. გ. ი. პეტროვსკი.

ამხ. პეტროვსკი სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის დავალებით სესიას გახსნილად აცხადებს და საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს წევრთა დასამტკიცებლად აყენებს დღის წესრიგსა და რეგლამენტს.

სიტყვას მოხსენებისათვის სსრ კავშირის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და ანგარიშისათვის სსრ კავშირის 1935 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე ღებულობს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. **გრინკო.** ცაკის წევრები მომხსენებლის გამოჩენას ტრიბუნაზე ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან.

ამხ. გრინკოს მოხსენება, რომელიც ორ საათზე მეტს გაგრძელდა, დიდი ყურადღებით მოისმინეს სსრ კავშირის ცაკის წევრებმა.

ამხ. გრინკოს სიტყვებს იმის შესახებ, რომ ჩვენი ბიუჯეტი არის იმ ქვეყნის ბიუჯეტი, რომელიც გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიდის ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით, მთელი დარბაზის მქუხარე ტაში ჰფარავდა.

სესიის პირველი სხდომის დასკვნითი ნაწილი მიეძღვნა სსრ კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენებას სსრ კავშირის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და სსრ კავშირის 1935 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე. გამოდის სსრ კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ამხ. **ჩუცკაევი.**

შემდეგ ამხ. პეტროვსკი სხდომას დახურულად აცხადებს. 12 იანვარს საკავშირო საბჭოში და ეროვნებათა საბჭოში, რომელთაც ცალ-ცალკე აქვთ სხდომები, იწყება ამხ. გრინკოს მოხსენებისა და ამხ. ჩუცკაევის თანამოხსენების განხილვა.

სესიის საბოლოო სხდომა

13 იანვრის დილის სხდომაზე შესვენების შემდეგ იხსნება საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა. თავმჯდომარეობს ამხ. პეტროვსკი. საბოლოო სიტყვით გამოდის სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. გრინკო, რომლის სიტყვა დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი.

შემდეგ ამხ. პეტროვსკი სიტყვას აძლევს სსრ კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ჩუცკაევს.

ამხ. ჩუცკაევი ამბობს, რომ სსრ კავშირის 1935 წლის ბიუჯეტის შესრულების საკითხებზე შენიშვნები არ ყოფილა. საბიუჯეტო კომისიას შემოაქვს პროექტი დადგენილებისა — დამტკიცდეს ანგარიში, რომლის მიხედვითაც სსრ კავშირის 1935 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულებულია შემოსავლის მხრივ 67.428.098.088 მანეთის რაოდენობით, გასავლის მხრივ 66.391.102.047 მანეთის რაოდენობით ისე, რომ შემოსავალი სჭარბობს გასავალს 1.036.996.041 მანეთით.

სესია საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს ცალ-ცალკე კენჭისყრით ერთხმად ღებულობს ამ წინადადებას.

შემდეგ ამხ. ჩუცკაევი აცხადებს, რომ 1937 წლის ბიუჯეტის შესახებ საბიუჯეტო კომისიის წინადადებათა საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

საბიუჯეტო კომისია მოითხოვს დამტკიცდეს სსრ კავშირის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლის მხრივ 98.069.500 ათასი მანეთის რაოდენობით, გასავლის მხრივ 97.119.500 ათასი მანეთის რაოდენობით ისე, რომ შემოსავალი აღემატება გასავალს 950 მილიონი მანეთით.

ამხ. პეტროვსკი კენჭს უყრის დადგენილების პროექტს. სესია ცალ-ცალკე კენჭისყრით მქუხარე ტაშის გრიალში ერთხმად ღებულობს ამ დადგენილებას.

სიტყვა მოხსენებისათვის იმ დადგენილებათა შესახებ, რომლებიც მიღებულია სსრ კავშირის ცაკის სესიებს შორის და რომლებიც სსრ კავშირის მე-7 მოწვევის ცაკის მე-3 სესიამ უნდა დაამტკიცოს, ეძლევა სსრ კავშირის ცაკის მდივანს ამხ. ი. ა. აკულოვს.

ამხ. აკულოვის მოხსენების დამთავრების შემდეგ სესიამ გადასწყვიტა არ დაიწყოს კამათი და კენჭი უყაროს პროექტს სსრ კავშირის მე-7 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის დადგენილებისა სსრ კავშირის ცაკის II და III სესიებს შორის მიღებულ დადგენილებათა დამტკიცების შესახებ.

თავმჯდომარე ამხ. პეტროვსკის წინადადებით საკავშირო საბჭო და ეროვნებათა საბჭო კენჭს უყრიან დადგენილებას.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მოკლე საბოლოო სიტყვის შემდეგ ამხ. პეტროვსკი სსრ კავშირის მე-7 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიას დახურულად აცხადებს.

„ქეთო და კოტე“ დიდ თეატრში

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები: სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ორჯონიკიძე, ანდრეევი, მიქოიანი, პოსტიშევი, ეჟოვი, დიმიტროვი, ხრუშჩოვი, ბერია.

მოსკოვი, 12 იანვარი (საქდესი). მხიარულ, სიცოცხლით აღსავსე კომიკურ ოპერა „ქეთო და კოტეს“, რომელიც გუშინ თბილისის ოპერის თეატრმა დადგა, დიდი წარმატება ჰქონდა. მაყურებელთა დარბაზში მხიარული გაცხოველება მეფობდა, ისმოდა განუწყვეტელი სიცილი, გრიალებდა ტაში.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები **სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ორჯონიკიძე, ანდრეევი, მიქოიანი, პოსტიშევი, ეჟოვი, დიმიტროვი, ხრუშჩოვი, ბერია.**

მოსკოველებს დიდი ხანია არ ენახათ ასეთი მხიარული მუსიკალური სანახაობა. მსუბუქი, ზედმეტი პრეტენზიების გარეშე გაკეთებული მუსიკა, უბრალო, მაგრამ ნათელი და მხიარული სიუჟეტი, მწვავე სატირა, რომლითაც გამსჭვალულია დადგმა და ნაწილობრივ მუსიკა,—ყოველივე ეს ოპერა „ქეთოსა და კოტეს“ ხდის მეტად საინტერესოსა და მაყურებლისათვის მისაწვდომს.

ყველაზე უფრო მოხდენილი სიმღერები და ცეკვა მაყურებელთა დაჟინებითი მოთხოვნით ორჯერ შესრულდა. როცა სპექტაკლი დამთავრდა და ფარდა ჩამოუშვეს, მაყურებელთ არ უნდოდათ წასვლა, იმდენად მხიარული განწყობილება იყო ამ საღამოს. ტაშს დასასრული არ უჩანდა, და უნდა ითქვას, შემსრულებლებმა იგი სავსებით დაიმსახურეს.

სპექტაკლში ძალიან ბევრია ნამდვილი და დახვეწილი კომიზმი რაც დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს არა მარტო კომპოზიტორს, არამედ რეჟისორსაც — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კ. ე. პატარიძეს.

რეჟისორ პატარიძეს აქვს დაუშრეტელი მოგონების ნიჭი და დიდი ოსტატობა. იგი გულმოდგინედ გაურბის მანერობას და გვხიბლავს უბრალო ხერხებით, რომლებიც მეტად აძლიერებენ სპექტაკლის კომიზმს.

არა ნაკლები წარმატება ჰქონდა ცეკვათა დამდგმელს ი. სუხიშვილს. ცეკვა ოპერა „ქეთო და კოტეში“ მშვენიერია და ამავე დროს ძალზე სასაცილო. მაყურებელთა მთელი დარბაზის მქუხარე ტაში ყოველი ცეკვის შემდეგ მჭერმეტყველურად მოწმობდა იმას, თუ როგორ ექიდებოდნენ მაყურებლები ამ ცეკვას.

ყოველგვარი ქების ღირსნი არიან აგრეთვე დირიჟორი შ. აზმაიფარაშვილი და მხატვარი ლ. გუდიაშვილი.

დიდი ზეიმი ბათომში

ბათომი, 13 იანვარი (ტელეფონით „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან) ქალაქმა დილიდანვე საზეიმო ელფერი მიიღო. ქუჩებში აფრიალდნენ წითელი დროშები.

კომინტერნის ქუჩაზე ფოსტისა და კლინიკის შენობების მთელ სიმაღლეზე აღიმართა ლენინისა და სტალინის გრანდიოზული პორტრეტები.

ყველა ქუჩა პლაკატებითა და ლოზუნგებით დაისერა.

საღამოს 6 საათიდან ლეიტენანტ შმიდტის ქუჩის გასწვრივ გამწკრივდნენ დემონსტრანტები.

მშრომელთა ასეული კოლონები საღამოს 7 საათზე ყოფილი მანთაშევის გასასვლელით დაიძრნენ პუშკინის ქუჩისაკენ — დიდი სტალინის მიერ 1902 წელს მოწყობილი დემონსტრაციის მარშრუტით.

პუშკინის ფართო ქუჩა ვერ იტევდა მოზღვავებულ ხალხს.

შებინდდა ავტომანქანებზე აღმართული პლაკატები და დიდი სურათები განათდა ელექტრონითა და პროჟექტორებით.

წინ მოდიან „მთავნავთის“ ბათომის ბაზის მუშათა კოლონები სტალინის დიდი პორტრეტით, რომელიც ჩასმულია ელექტროლამფებით მოქარგულ სტრიქონებში — „სტალინი ჩვენი დროშაა“.

მათ მიჰყვებიან ბათომის ნავთსახდელი ქარხნების, ცენტრალური ხისდამმუშავებელი და სხვა ქარხნების მუშები, ინჟინრები, ექიმები, მასწავლებლები, მოსწავლეები, სამხედრო ნაწილები, მეზღვაურები.

კოლონებს შუა აღმართულია ამხანაგ სტალინის მხატვრული პორტრეტი 1902 წლისა, გაზეთი „ისკრა“, არალეგალური მუშაობის სხვადასხვა მომენტები, შემდეგ სტალინისა და მის თანამებრძოლთა ახლანდელი სურათები. ყველა სურათი შესრულებულია იშვიათი მხატვრული გემოვნებით. კოლონები გაშუქებულია ელექტრონით და პროჟექტორებით. დემონსტრაცია გადაიღო საკინმრეწვმა.

ბათომის მშრომელებმა ინტერნაციონალის მღერით, არაჩვეულებრივი ზეიმით გაიარეს 1902 წლის სტალინური მარშრუტი.

ჰაერში ისვრიან ათასფერ შუშხუნებს. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს“, „გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას“, „მადლობა დიდ სტალინს საამური ცხოვრებისათვის!“.

ბათომის ნავსადგურში მყოფ ყველა საბჭოთა გემზე არაჩვეულებრივი ზეიმია. ზღვაზე სიწყნარეა. გემებიდან მოისმის ინტერნაციონალის ჰანგები, რომელიც უერთდება მთელი ქალაქის მშრომელთა ზეიმს.

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს სტუმრებმა გორიდან, ლანჩხუთიდან, საქართველოს სხვა კუთხეებიდან.

საღამოს 8 საათზე ქალაქის თეატრში გაიხსნა პარტაქტივის კრება, მიძღვნილი ზეიმისადმი.

პარტაქტივის კრება ვრცელი შესავალი სიტყვით გახსნა საქ. კ.პ. (ბ) ბათომის ქალაქკომის მდივანმა ამხ. კვარცხავამ. დიდი სტალინის ხსენებაზე მთელი დარბაზი ფეხზე დგება და მღერის ინტერნაციონალს. ინტერნაციონალი დამთავრდა, გრიალებს მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციებში გადადის.

კრება საპატიო პრეზიდიუმში ირჩევს ამხანაგ სტალინს, საქ. კ.პ. (ბ) პოლიტბიუროს მთელ შემადგენლობას და ამხ. ანდრეევს, ჩუბარს, ეჟოვს, დიმიტროვს, ბერიას.

საქმიან პრეზიდიუმში არიან ამხ. ბედია, გიურქოვი, ზ. ლორთქიფანიძე, კვარცხავა, პორფილე ლომჯარია, ძველი მუშები და საქართველოს სხვადასხვა რაიონის დელეგატები.

ბათომში ამხანაგ სტალინის მუშაობისა და რსდმპ ბათომის პირველი კომიტეტის ჩამოყალიბებისა და მუშაობის შესახებ მეტად შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბედია. ამხ. ბედიას უკანასკნელი სიტყვები — „გაუმარჯოს დიდ სტალინს“ — მთელ დარბაზში მქუხარე ტაშს და ხანგრძლივ ოვაციას იწვევს.

შემდეგ სიტყვას ამბობს ამხ. პორფ. ლომჯარია, უხუცესი მუშა, რომლის ბინაზედაც 1901 წლის 31 დეკემბერს (ძველი სტილით) ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა რსდმპ ბათომის ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი კომიტეტი.

პორფილეს გამოჩენას მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით ხვდება.

შემდეგ სიტყვებს ამბობენ ნატალია კვინტრაძე და ილარიონ დარახველიძე და კითხულობენ იმ წერილის ტექსტს, რომელსაც ბათომის მთელი მუშები, — 1901 წლის ახალ წლის ღამის თათბირის მონაწილენი, უგზავნიან დიდ სტალინს.

პარტაქტივის კრებას ესალმებიან № სანაპირო რაზმის მებრძოლები, პარაშუტისტები და პიონერები. დარბაზი მათ ოვაციებს უმართავს.

ისტორიული იუბილე არაჩვეულებრივი ზეიმით აღინიშნა.

შ. ფურცვანიძე.

სსრ კავშირის საფინანსო პროგრამა 1937 წლისათვის

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. გ. ფ. გრინკოს მოხსენება სსრ კავშირის ცაკის III სესიაზე ა.-წ. 11 იანვარს სსრ კავშირის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ *

ამხანაგებო! სსრ კავშირის ცაკის ეს სესია სსრ კავშირის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვას იწყებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის იმ დიად გამარჯვებათა დროს, რომლებიც მიღწეული და მოპოვებულია სსრ კავშირის ხალხთა მიერ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის).** ამ გამარჯვებათა ყველაზე უფრო მკვეთრ და მძლავრ გამოხატულებას წარმოადგენს ჩვენი ეპოქის დიადი დოკუმენტი, ჩვენი ქვეყნის ამ ცოტა ხნის წინათ დამტკიცებული ძირითადი კანონი — სტალინური კონსტიტუცია. ყოველ დიდსა და მცირე საქმეს ჩვენს ქვეყანაში ახლა ვუდგებით სტალინური კონსტიტუციის მოთხოვნათა თვალსაზრისით. ეს მით უფრო შეეხება ისეთ საქმეს, როგორიცაა სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელშიც თავს იყრის სოციალისტური ეკონომიკის, კულტურული მშენებლობის, თავდაცვისა და მართველობის ყველა დარგის ძაფები.

1937 წელი არის მეორე ხუთწლედის უკანასკნელი წელი, მეორე ხუთწლიანი გეგმის გრანდიოზული სოციალისტური პროგრამის ძლევამოსილად დამთავრების წელი. ჩვენი მრეწველობის ცალკეულმა მოწინავე უბნებმა და ბამბის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა სოფლის მეურნეობაში უკვე 1936 წელს მიაღწიეს მეორე ხუთწლედის შესრულებას. მაგრამ ეს ჯერჯერობით მხოლოდ ცალკეული მოწინავე უბნებია. მეორე ხუთწლედი, რომ ძლევამოსილად დავამთავროთ, ჩვენ ჯერ კიდევ უნდა განვახორციელოთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უდიდესი პროგრამა 1937 წელს. ეს პროგრამა მოცემულია უკვე დამტკიცებულ 1937 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმაში. მეორე ხუთწლედის ძლევამოსილად დამთავრების ეს პროგრამა ასახულია თქვენს განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილ 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტშიც.



I. 1936 წ. ფინანსური შედეგები

1936 წელი არის ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შესანიშნავ გამარჯვებათა წელი და უწინარეს ყოვლისა დიადი სტალინური კონსტიტუციის წელი. 1936 წელი არის სტახანოვური მოძრაობის უდიდესი განვითარებისა და მრეწველობასა, ტრანსპორტსა და სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნიკის ათვისების დიდ მონაპოვართა წელი, სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში ჭეშმარიტად „ახალი მძლავრი გაქანების" (სტალინი) წელი. ამას არ შეეძლო თავისი გამოხატულება არ ეპოვნა ფინანსურ დარგშიც. 1936 წელი არის წელიწადი ფულადი მეურნეობის შემდგომი ფართო განვითარებისა, საბჭოთა მანეთის შემდგომი განმტკიცებისა და მთელი საფინანსო-საკრედიტო — ფულადი მექანიზმის გაუმჯობესებისა სოციალისტური მშენებლობის ახალი ამოცანების შესაბამისად.

როგორ არის შესრულებული 1936 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი? როგორც ვიცით, 1936 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დამტკიცებული იყო შემოსავლისა და გასავლის ნაწილში ერთნაირი ჯამით—78.715 მილიონი მანეთის რაოდენობით.

სსრ კავშირის 1936 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი არა თუ შესრულდა, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდა: შემოსავლის ნაწილში — 5,9 პროცენტის და გასავლის ნაწილში — 3,8 პროცენტის, გადაჭარბებით.

ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ 1936 წელი დავამთავრეთ ისე, რომ **საბიუჯეტო შემოსავალი გასავალს სჭარბობს 1,7 მილიარდამდე.** ამან შესაძლებლობა მოგვცა გაგვეძლიერებინა სახელმწიფო ბანკის საკრედიტო რესურსები, გაგვეფართოებინა მრეწველობისა და ვაჭრობის დაკრედიტება ჩვენი ფულის ტრიალის მკაცრ მოწესრიგებასთან ერთად.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის გადამეტება 1936 წელს თითქმის 5 მილიარდი მანეთით ანუ 5,9 პროცენტით აიხსნება სამრეწველო პროდუქციის გეგმაგადამეტებითი ზრდით, ისეთი ტექნიკური კულტურების საუცხოო აღებით, როგორიცაა ბამბა, რკინიგზის ტვირთზიდვის გეგმის გადაჭარბებითი შესრულებით, საქონელბრუნვის გეგმის გადაჭარბებითი შესრულებით, გეგმაგადამეტებითი მოგების მნიშვნელოვანი დაგროვებით სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში და მოსახლეობის შემოსავლის უდიდესი ზრდით ქალაქად და სოფლად, აგრეთვე მეურნეობის ყველა დარგისათვის და თავდაცვის სახალხო კომისარიატისათვის მთელ რიგ საქონელზე ჯერ კიდევ დარჩენილი შეღავათიანი ფასების გაუქმებით.

მართლაც, მძიმე მრეწველობამ 1936 წელს მოგვცა გეგმის გადამეტებით 1,7 მილიარდი მანეთის პროდუქცია და 545 მილიონი მანეთი მოგება გეგმის გადამეტებით. კვების მრეწველობამ გეგმის გადამეტებით მოგვცა 600 მილიონი მანეთის პროდუქცია და 260 მილიონი მანეთი მოგება გეგმის გადამეტებით. მსუბუქმა მრეწველობამ გეგმის გადამეტებით მოგვცა 370 მილიონი მანეთის პროდუქცია. გზათა სახალხო კომისარიატმა 27,2 მილიონი ტონა ტვირთი გადაზიდა გეგმის გადამეტებით და მოგვცა 100 მილიონ მანეთამდე გეგმაგადამეტებითი მოგება. მე აქ დავკმაყოფილდები 1936 წელს საწარმოო პროგრამების გადაჭარბებით შესრულების ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითების ჩამოთვლით. აი სწორედ ეს წარმოადგენს 1936 წელს საბიუჯეტო შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების საფუძველს.

სტახანოვურმა მოძრაობამ უკვე მოგვცა თავისი პირველი დიდი მიღწევები არა მარტო საწარმოო პროგრამების გადაჭარბებით შესრულებაში, არამედ მოგების დაგროვებაშიც. 1936 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებისას ჩვენ გამოვდიოდით იქიდან, რომ მოგების საერთო ჯამი შეადგენდა 11,3 მილიარდ მანეთს. ნამდვილად კი იგი იქნება დაახლოვებით 14,5 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. 3,2 მილიარდი მანეთით გეგმაზე მეტი.

საქონელბრუნვის გეგმა არა თუ შესრულდა, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდა. საქონელბრუნვის საერთო მოცულობამ 1936 წელს მიაღწია 106 მილიარდ მანეთს, ე. ი. 6 მილიარდ მანეთით გადააჭარბა გეგმას, რამაც სახელმწიფო ბიუჯეტს მისცა დამატებითი შემოსავალი. და ეს მაშინ, როცა ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის საცალო ფასები სახელმწიფო ვაჭრობასა და კოოპერაციაში რამდენადმე შემცირდა 1936 წლის განმავლობაში.

როგორც ვიცით, 1936 წელს ჩვენ არ გაგვიდიდებია მოსახლეობის გადასახადები. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო და ადგილობრივმა ბიუჯეტებმა ამ მუხლით მიიღეს დაახლოვებით 500 მილიონი მანეთით მეტი შემოსავალი, ვიდრე 1936 წლის ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული. ეს აიხსნება 1936 წელს შრომის ხელფასის ფონდების ზრდით დაახლოვებით 17,5 მილიარდი მანეთით 1935 წელთან შედარებით, აგრეთვე სოფლის შემოსავლის უდიდესი ზრდით.

1936 წ. სახელმწიფო საშინაო სესხი გადაჭარბებით გავრცელდა. შემნახველმა სალაროებმა მიიზიდეს ერთ მილიარდ მანეთამდე ახალი ანაბარები, ე. ი. 200 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე ცაკის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული.

სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი შესრულებულია 3,8 პროცენტით ანუ გეგმაზე 3 მილიარდი მანეთით მეტი. ჩვენ იმიტომ შევძელით ამ დამატებითი ხარჯის გაწევა, რომ საგრძნობლად მეტი შემოსავალი გვქონდა, ვიდრე ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული.

3 მილიარდი მანეთის დამატებითი ხარჯიდან 1 მილიარდ მანეთამდე მოვახმარეთ **სახალხო** მეურნეობის დამატებითს დაფინანსებას, უმთავრესად, **სასოფლო-სამეურნეო სახალხო კომისარიატებს**, 2 მილიარდ მანეთამდე — **განათლებას**, მასწავლებელთა შრომის ხელფასის მომატებასა და საბავშვო ბაღების გასაფართოვებლად დამატებითი ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით, და 300 მილიონ მანეთამდე — ჯანმრთელობის დაცვას, საბავშვო ბაგების, სამშობიარო სახლებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებათა ქსელის დამატებით გაფართოვებასთან დაკავშირებით.

თავდაცვის სახალხო კომისარიატმა 1936 წელს მიიღო 14,9 მილიარდი მანეთი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ მთლიანად შევასრულეთ სსრ კავშირის ცაკის წინანდელი სესიის გადაწყვეტილება ჩვენი დიადი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად 1936 წელს ხარჯების გადიდების შესახებ **(ხანგრძლივი ტაში).**

შემდეგ ამხ. გრინკოს მოჰყავს სახელმწიფო ბანკის საკრედიტო რესურსების ციფრები, რომლებიც 1936 წ. 8,5 მილიარდი მანეთით გაიზარდა, ამასთან კოლმეურნეობათა მიმდინარე ანგარიშების საერთო ნაშთმა სახელმწიფო ბანკში 1937 წლის 1 იანვარს მიაღწია 1,6 მილიარდ მანეთს, ამასთან ერთად განუწყვეტლივ მატულობდა ანარიცხები კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდებისთვის მათ ანგარიშებზე სასოფლო-სამეურნეო ბანკში. 1936 წელს კოლმეურნეობათა ანგარიშებზე სასოფლო-სამეურნეო ბანკში შემოვიდა 1,375 მილიონი მან. ანარიცხი განუყოფელი ფონდებისათვის, ნაცვლად 1935 წლის 653 მილიონი მანეთისა.

ფულის მასა ტრიალში 19 პროცენტით გაიზარდა, როდესაც საქონელბრუნვის ზრდა უდრიდა 31,5 პროცენტს და სასოფლო-სამეურნეო დამზადებათა ზრდა — 30,0 პროცენტს. ამგვარად, ჩვენ გვაქვს ფულის ტრიალის შემდგომი გაუმჯობესება და ფულის ბრუნვის დაჩქარება.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების, მოკლევადიანი სესხის განვითარების, საქონელბრუნვის ზრდისა და ტრიალში ფულის მასის მოძრაობის ეს საერთო მაჩვენებლები თავისთავად მოწმობენ ჩვენი ფულადი მეურნეობის შემდგომ წარმატებითს განვითარებას და საბჭოთა მანეთის შემდგომ განმტკიცებას. ამ დასკვნას სავსებით ადასტურებს საცალო ფასების მოძრაობაც 1936 წელს. ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის საცალო ფასების საერთო შემცირება მთელს საცალო საქონელბრუნვაში, საკოლმეურნეო ბაზრის ჩათვლითაც, 1936 წლის მანძილზე შეადგენდა 4,5—5 მილიარდ მანეთს, 1935 წლის ფასებთან შედარებით. სსრ კავშირის ცაკის წინანდელ სესიას მე მოვახსენე, რომ 1935 წლის განმავლობაში საცალო ფასების შემცირებამ მთელს საცალო საქონელბრუნვაში მიაღწია დაახლოვებით 5 მილიარდ მანეთს, 1934 წლის ფასებთან შედარებით.

ამას მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, რომ მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი და საკოლმეურნეო სოფლის შემოსავალი ამ წლების განმავლობაში ძლიერ გაიზარდა.

ბურჟუაზიული კრიტიკოსები გულგატეხილი დადუმდნენ, ერთი მხრივ, სსრ კავშირის საფინანსო ძლიერების უდაო უდიდესი ზრდისა და საბჭოთა მანეთის განმტკიცების წინაშე და, მეორე მხრივ — კაპიტალისტურ სახელმწიფოთა უმრავლესობის და, პირველ რიგში, ფაშისტურ სახელმწიფოთა სახელმწიფო ბიუჯეტების ასევე უდაოდ უნუგეშო დეფიციტიანობისა (პირდაპირი თუ ფარული) და მათი ვალუტების მეტად ცუდი მდგომარეობის წინაშე. ბატონმა ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა აშკარად დაჰკარგეს ხალისი საბჭოთა და კაპიტალისტური ფინანსების შედარებითი დახასიათებისადმი. ეს მათთვის სარფა არ არის.

1936 წლის ორგანიზაციულ-ფინანსური ღონისძიებანი.

ერთერთ უაღრესად სერიოზულ ორგანიზაციულ-სამეურნეო და საფინანსო ღონისძიებას, რომელიც 1936 წელს ჩატარდა, წარმოადგენს **სადოტაციო სისტემის გაუქმება მძიმე მრეწველობაში,** რაც მოხდა ახალი ტექნიკის ათვისებისა და მისი რენტაბელობის ზრდის საქმეში მძიმე მრეწველობის წარმატებათა საფუძველზე.

ამ დიდმა სამეურნეო-საფინანსო ღონისძიებამ სავსებით გაამართლა თავისი თავი უკვე 1936 წლის განმავლობაში. უეჭველია, ახალი ფასების დაწესებამ მძიმე მრეწველობის პროდუქციაზე და შემავიწროვებელი სადოტაციო სისტემის ლიკვიდაციამ სერიოზული როლი შეასრულეს იმ მხრივ, რომ მძიმე მრეწველობამ 1936 წელი დაამთავრა საწარმოო პროგრამის დიდი გადამეტებით და გეგმაგადამეტებითი მოგებათა მნიშვნელოვანი დაგროვებით.

1936 წელს სსრ კავშირის სახკომსაბჭომ მიიღო კანონი **საწარმოს დირექტორის ფონდის შესახებ,** რომელიც იქმნება გეგმიან მოგებათაგან 4—პროცენტიანი ანარიცხებისა და საწარმოთა და სამეურნეო ორგანოთა გეგმაგადამეტებითი მოგებათაგან 50 პროცენტის ანარიცხების ხარჯზე. ამ კანონმა უკვე 1936 წელს ითამაშა უდიდესი როლი იმ მხრივ, რომ მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერთა მილიონებმა მოაწყეს ბრძოლა საწარმოო პროგრამების გადაჭარბებით შესრულებისათვის და მოგებათა გეგმაგადამეტებითი დაგროვებისათვის.

საკმარისია აღინიშნოს, რომ საწარმოთა დირექტორების ფონდები 1936 წლის განმავლობაში შეადგენენ — მძიმე მრეწველობაში დაახლოვებით 200 მილიონ მანეთს, კვების მრეწველობაში—დაახლოვებით 150 მილიონ მანეთს და, რომ ჩვენ უკვე საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება ცალკეული საწარმოები, რომლებშიაც დირექტორთა ფონდები მრავალი მილიონი მანეთით განისაზღვრება.

დიდი ორგანიზაციულ - სამეურნეო და საფინანსო მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1936 წლის გადაწყვეტილებას **სამრეწველო სახალხო კომისარიატთა მთავარ სამმართველოებისათვის სამეურნეო ანგარიშის ფუნქციების მიკუთვნების შესახებ.**

სამეურნეო-საფინანსო ორგანიზაციულ ღონისძიებათა ამავე წყებაში საჭიროა აღინიშნოს 1936 წელს გამოცემული **ახალი კანონიც საწარმოთა და სამეურნეო ორგანოთა ბალანსების შესახებ.** 1935 წელს სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა ახალი დებულება ბალანსების შესახებ, რაც ადგენს საწარმოთა და სამეურნეო ორგანოთა წლიური ბალანსებისა და ანგარიშების შედგენისა და დამტკიცების ერთიან, უფრო მკაცრ წესს, რამაც უნდა მოგვცეს საბალანსო აღრიცხვისა და ანგარიშების მთელი საქმის გაუმჯობესება. ამ გადაწყვეტილებით საბალანსო საქმის საერთო ხელმძღვანელობა ჩამოერთვა სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს და გადაეცა ფინანსთა სახალხო კომისარიატს. საჭიროა უფრო მეტად ავამაღლოთ ბუხჰალტრის როლი სოციალისტურ მეურნეობაში, ავამაღლოთ მისი კვალიფიკაცია და გავაძლიეროთ მისი პასუხისმგებლობა საფინანსო კანონების დაცვისა და სახელმწიფო ფულის უკლებლობისთვის.

საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი განვითარების ინტერესებისათვის 1936 წელს გატარდა **კანონი სავაჭრო ორგანიზაციათა საბანკო დაკრედიტების ორგანიზაციაში ნაწილობრივ ცვლილებათა შესახებ,** კანონი, რომელიც მიმართულია ვაჭრობის დაკრედიტების პირობების გაადვილებისაკენ. ამ კანონის საფუძველზე სახელმწიფო ბანკი გადავიდა სავაჭრო ორგანიზაციების ულიმიტო დაკრედიტებაზე მათ მიერ გეგმიანი და გეგმაგადამეტებითი საქონელბრუნვის სრული გაშლის პირობებში. უფრო მეტი, — ის ორგანიზაციები, რომლებიც გადაჭარბებით შეასრულებენ საქონელბრუნვის მათთვის დაწესებულ გეგმას, ღებულობენ კრედიტს უფრო შეღავათიან პირობებში გეგმაგადამეტებითი საქონელბრუნვის მიმართ.

1936 წლის უდიდეს საფინანსო ღონისძიებას უეჭველად წარმოადგენს **სახელმწიფო საშინაო სესხთა კონვერსია,** რომელიც უკვე გატარდა.

შემდეგ ამხ. გრინკო აღნიშნავს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებას, დაკავშირებულს საშინაო სახელმწიფო სესხთა კონვერსიასთან, **სახელმწიფო ბანკის, გრძელვადიან დაბანდებათა ბანკებისა და შემნახველი სალაროების ოპერაციათა ხაზით ყველა საპროცენტო განაკვეთის საერთო მნიშვნელოვან შემცირების შესახებ.**

დასასრულ ამბობს ამხ. გრინკო, მე აგრეთვე უნდა აღვნიშნო 1936 წელს გამოცემული **ახალი დებულება სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის შესახებ.** ფულადი მეურნეობის ზრდისა და მთელს სოციალისტურ მშენებლობაში ფულის როლის გაძლიერების შესაბამისად, ახალი დებულება სსრ კავშირის ფინსახკომის შესახებ აძლიერებს ფინსახკომის მოვალეობასა და უფლებებს ყველა საბიუჯეტო და სამეურნეო ანგარიშის ორგანიზაციის მიმართ საფინანსო კონტროლის მხრივ და ამავე დროს განამტკიცებს საფინანსო და საკრედიტო მუშაობის ხელმძღვანელობის ერთიანობას.

II. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი 1937 წელს

გადავდივარ სსრ კავშირის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, რაც გამოანგარიშებულია **97,782,4 მილიონი მანეთის რაოდენობით, ე. ი. 14.390,2 მილიონი მანეთით ანუ 17,3 პროცენტით მეტი რაოდენობით, ვიდრე გასულ წელს.**

წარმოება და საქონელბრუნვა 1937 წელს.

1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს საფუძვლად უდევს მთავრობის მიერ დამტკიცებული შემდეგი დავალებანი წარმოებისა და საქონელბრუნვის მხრივ. სამრეწველო პროდუქცია 1937 წელს უნდა გაიზარდოს 20 პროცენტით, ამაში საწარმოო საშუალებათა წარმოება 19,5 პროცენტით და მოხმარების საგნების წარმოება 20,8 პროცენტით. სარკინიგზო ტვირთზიდვის მოცულობად მიღებულია 565 მილიონი ტონა, ანუ 16,6 პროც. მეტი, ვიდრე 1936 წელს. საცალო საქონელბრუნვა მიღებულია 131 მილიარდი მანეთის რაოდენობით, ანუ 23,6 პროცენტით მეტი, ვიდრე 1936 წელს.

ამგვარად 1937 წლის საბიუჯეტო შემოსავალს საფუძვლად უდევს წარმოებისა და საქონელბრუნვის ისეთი ზრდის პროგრამა, რომელიც უზრუნველჰყოფს ხუთწლიანი გეგმის დამთავრებას, ხოლო მთელი რიგი საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით — მის გადაჭარბებით შესრულებასაც.

წარმოებისა და საქონელბრუნვის ზრდა, მიღებული 1937 წლისათვის, ნიშნავს, რომ სახელმწიფო საწარმოებმა და სამეურნეო ორგანოებმა 1937 წელს უნდა დააგროვონ 20,8 მილიარდი მანეთი მოგება, ნაცვლად 1936 წელს დაგროვილი 14,5 მილიარდი მანეთისა.

სახელმწიფო საწარმოთა და სამეურნეო ორგანოთა მოგების ზრდა

ჯერ კიდევ 1933 წელს მოხსენებაში პირველი ხუთწლედის შედეგების შესახებ ამხანაგმა სტალინმა მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხი, როგორც სოციალისტური მშენებლობის ტემპთა დაჩქარების გადამწყვეტი საკითხი. 1935 წელს ამ მიმართულებით სერიოზული წარმატებანი ახასიათებენ.

გადადის რა იმ მოგების თანხის დაწვრილებით ანალიზზე, რომლის მიღებაც 1937 წელსაა დასახული, ამხ. გრინკო ხაზს უსვამს, რომ მოგების ყველაზე მეტ თანხას იძლევა თავისი მნიშვნელობითა და თავისი ტექნიკური შეიარაღებით მოწინავე მძიმე მრეწველობა. მიღებული საწარმოო პროგრამის შესაბამისად მძიმე მრეწველობამ 1937 წელს უნდა მოგვცეს 4,2 მილიარდი მანეთი მოგება ანუ წინა წლისაზე 29,3 პროცენტით მეტი. მძიმე მრეწველობაში მოგების ყველაზე დიდ ნაწილს აგროვებენ ისეთი დარგები, როგორიცაა ავტოსატრაქტორო მრეწველობა, ნავთის მრეწველობა, ელექტროსადგურები და სხვ.

მოგების მოცულობის მხრივ შემდეგ მიდის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი, რომელმაც მისთვის მიღებულ საწარმოო პროგრამის შესაბამისად 1937 წელს უნდა მოგვცეს 3,3 მილიარდი მანეთი მოგება ანუ წინა წელთან შედარებით 35 პროცენტით მეტი.

ცალკე უნდა გავუსვა ხაზი ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მოგების უდიდეს ზრდას. უკვე 1936 წელს ადგილობრივმა მრეწველობამ მოგვცა წარმოების საგრძნობი ზრდა და გვიჩვენა მაღალი რენტაბელობა, დააგროვა რა 1,5 მილიარდი მანეთი მოგება. ადგილობრივი მრეწველობის 1937 წლის საწარმოო პროგრამა ადგილობრივ მრეწველობას საშუალებას აძლევს დააგროვოს დაახლოვებით 3 მილიარდი მანეთი მოგება.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ 1937 წელს დასახულია რკინიგზის ტრანსპორტის მოგების დიდი ზრდა. ტვირთზიდვის პროგრამა, დამტკიცებული სახალხო კომისარიატისათვის, რკინიგზელი მუშების შრომის ნაყოფიერების ზრდა და ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირება გზათა სახალხო კომისარიატს საშუალებას აძლევს დააგროვოს 1937 წელს თითქმის 1,4 მილიარდი მანეთი მოგება, ე. ი. 80 პროცენტით მეტი 1936 წელთან შედარებით, არავითარი ეჭვი არ არის, რომ რკინიგზები ამაზე არ შეჩერდებიან.

სახელმწიფო ვაჭრობის მოგება, საქონელბრუნვის დასახული ზრდისა და ბრუნვის ხარჯების 8,7 პროცენტით შემცირების საფუძველზე, 1937 წელს შეადგენს დაახლოვებით 1,2 მილიარდ მანეთს, ანუ 1936 წელთან შედარებით 66,3 პროცენტით მეტს. ამავე საფუძველზე სამომხმარებლო კოოპერაციის მოგება იზრდება 1936 წლის 688 მილიონი მანეთიდან 1.125 მილიონ მანეთამდე 1937 წელს. 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ანგარიში ვარაუდობს, რომ ფასები და ტარიფები 1936 წლის დონეზე დარჩებიან. ამიტომ მოგების დაპროექტებული დიდი ზრდა ასახავს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და ყოველგვარი ზედნადები ხარჯის შემცირებას საქონლის წარმოებასა და ბრუნვაში.

წარმოებისა და დაგროვების ეს ზრდა რომ უზრუნველვჰყოთ, კიდევ უფრო ფართოდ უნდა გავშალოთ სტახანოვური მოძრაობა, ბოლომდის გავტეხოთ ჩამორჩენილი კონსერვატული ელემენტები მეურნეობაში და ძირფესვიანად აღმოვფხვრათ, უკლებლივ ამოვწვათ მავნებლური ცდები ფაშიზმის საზიზღარი აგენტებისა, მავნებლებისა, დივერსანტებისა, მკვლელებისა და ჯაშუშებისა, ტროცკისტულ-ზინოვიევური და მემარჯვენეთა ბანდის ამ საძაგელი ნაბოლარებისა, რომელნიც ცდილობენ შეაფერხონ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ძლევამოსილი მსვლელობა.

საქონელბრუნვის ზრდა და საბიუჯეტო შემოსავალი.

სახელმწიფო და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობები რომ არ ჩავთვალოთ, 1937 წელს უნდა განახორციელონ საქონელბრუნვა 131 მილიარდი მან. ოდენობისა, ანუ 1936 წელზე 23,6 პროც. მეტი.

საქონელბრუნვის ეს ზრდა თავის გამოხატულებას ჰპოვებს იმ საბიუჯეტო შემოსავალთა ზრდაშიც, რომლებიც დაკავშირებული არიან საქონლის წარმოებასა და მიმოქცევასთან და რომლებიც გაერთიანებული არიან საერთო სახელწოდებით — ბრუნვის გადასახადი. ბრუნვის გადასახადის საერთო ჯამი 1937 წ. ბიუჯეტის პროექტში მიღებულია 76,7 მილიარდი მან. რაოდენობით, ე. ი. შარშანდელზე 16,5 პროც. მეტი.

მძიმე მრეწველობა, რომელიც 1937 წ. მოგების დაგროვების ყველაზე მეტ ჯამს იძლევა, უკვე დიდ როლს თამაშობს ბრუნვის გადასახადშიც. 1936 წ. მძიმე მრეწველობისაგან მივიღეთ 6,5 მილიარდი მან. ბრუნვის გადასახადი. 1937 წელს, წარმოების ზრდასთან დაკავშირებით, ველით 9 მილიარდი მან. მიღებას, ამასთან ბრუნვის გადასახადი ყველაზე მეტად იზრდება ნავთის მრეწველობის ხაზით.

ბრუნვის გადასახადი საგრძნობლად იზრდება მსუბუქ მრეწველობაშიც. 1936 წ. მსუბუქი მრეწველობისაგან მივიღეთ 9 მილიარდ მანეთამდე ბრუნვის გადასახადი. 1937 წელს ველით 11,4 მილიარდი მანეთის მიღებას. ამასთან ბრუნვის გადასახადის ამ მატების უდიდესი ნაწილი მოდის ბამბეულის მრეწველობის მუშაობის ხარჯზე.

კვების მრეწველობა, რომელმაც 1936 წ. დიდ შედეგებს მიაღწია წარმოების გაფართოვებასა და განსაკუთრებით საკვები პროდუქტების ასორტიმენტის გაუმჯობესებაში, 1937 წ. იძლევა შემდგომ დიდ ზრდას როგორც საკვები პროდუქტების რაოდენობის, ისე მათი ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების მხრივ. ამის შესაბამისად იზრდება ბიუჯეტის შემოსავალიც კვების მრეწველობისაგან 1935 წლის 16,8 მილიარდი მანეთიდან 20,4 მილიარდ მანეთამდე 1937 წელს.

გაგრძ. იხ. შემდეგ ნომერში

---

*) იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამის მიხედვით.

კამათი ამხ. გრინკოს მოხსენების გამო

12 იანვრის დილის სხდომა

12 იანვარს, დილით საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოში, რომლებსაც სხდომები ცალცალკე აქვთ, დაიწყო კამათი სსრ კავშირის 1937 წლის ბიუჯეტის შესახებ ამხ. გრინკოს მოხსენებისა და ცაკის საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენების გამო. საკავშირო საბჭო მუშაობს სასახლის დიდ დარბაზში, ეროვნებათა საბჭო—გიორგის დარბაზში.

საკავშირო საბჭოში

საკავშირო საბჭოს სხდომას ხსნის სსრ კავშირის ცაკის თავმჯდომარე ამხ. **მუსაბეკოვი.**

კამათში პირველი სიტყვა ეძლევა უკრაინის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. **ი. ო. შელეხესს.**

1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, წარმოდგენილი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, მოწმობს საბჭოთა ქვეყნის ფინანსური ძლიერების უდიდეს ზრდას. ეს ბიუჯეტი მთლიანად შეესაბამება იმ გრანდიოზულ ამოცანებს, რომლებიც დგანან სოციალიზმის ქვეყნის წინაშე მეორე ხუთწლედის დამამთავრებელ წელში.

ამხ. შელეხესი ბევრს ლაპარაკობს რაიონის საჭიროებებზე, იმაზე, რომ აუცილებელია გადიდდეს ასიგნობანი რაიონული ცენტრების კეთილმოწყობისათვის და საგზაო მშენებლობისათვის.

ამხ. **ე. ი. ვეინბაუმი** (საბჭოთა კონტროლის კომისია) თავის სიტყვაში ლაპარაკობს საფინანსო ორგანოთა საკონტროლო-სარევიზიო მუშაობაზე.

იმაზე, რომ აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს რაიონულ ცენტრებს, ლაპარაკობს აგრეთვე სსრ კავშირის ცაკის წევრი — ტულის იარაღის ქარხნის საამქროს უფროსის თანაშემწე ამხ. **მ. ვ. კრაპივენცევი.**

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდის შესახებ საინტერესო ცნობები მოჰყავს ამხ. **ე. ი. მალახოვსკის** (ლენინგრადი). უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ქალაქის მოსახლეობის დანაზოგი გაიზარდა 84 მილიონიდან (1934 წლის 1 იანვრისათვის) 300 მილიონ მანეთამდე (1937 წლის 1 იანვრისათვის). საშუალო ანაბარი გადიდდა 370 მანეთამდე. შეძლებულობის ზრდას, რომელიც სტახანოვური მოძრაობის შედეგია, მოწმობს შემდეგი ფაქტი: ლენინგრადის მეანაბრეთა დაახლოვებით ერთ მეოთხედს თავის შემნახველ სალაროებში აქვს 1.000 მანეთზე მეტი თითოს. 1934 წელს ასეთი მეანაბრენი მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენდნენ.

უკრაინის სს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. **ა. ა. რეკისი** თავის გამოსვლაში ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირის 1937 წლის ფინანსური პროგრამის დამახასიათებელ მხარეებს.

დაწვრილებით ჩერდება რა უკრაინის სს რესპუბლიკის ახალი ბიუჯეტის ცალკეულ საკითხებზე, ამხ. რეკისი აყენებს საფინანსო მუშაობის შემდგომ გაუმჯობესების, ადგილობრივ ბიუჯეტთა დაგეგმვის, საფინანსო დისციპლინის, საშემნახველო საქმის განმტკიცების ამოცანებს.

სიტყვა ეძლევა ბელორუსიის სამხედრო ოლქის № ავიანაწილის რგოლის მეთაურს ამხ. **პ. მ. უშაკოვს.** იგი ღრმა კმაყოფილების გრძნობით ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერების განსამტკიცებლად 1937 წლის ბიუჯეტით დასახულ ასიგნობებზე.

— შემდეგი ორატორი — ბაქოს საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ა. პ. ოლინი,** ლაპარაკობს ახალი მოკავშირე რესპუბლიკის — აზერბეიჯანის და მისი დედაქალაქის — ბაქოს ზრდაზე.

შემდეგ კამათში გამოდის სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ამხ. **ა. ს. კისელიოვი.** მისი სიტყვა მიძღვნილია საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებისადმი.

— მე ვფიქრობ, — აცხადებს ამხ. კისელიოვი, — რომ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესია მოიწონებს ამხ. გრინკოს მოხსენებაში გათვალისწინებულ ხარჯებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს დიდძალი სახსრები რაც შეიძლება მეტი ეფექტიურობით გამოვიყენოთ.

დასასრულ ამხ. კისელიოვი ლაპარაკობს ტროცკისტულ - ზინოვიევური კონტრრევოლუციური ნაბოლარებისა და მათი მემარჯვენე დამქაშების საზიზღარ ვერაგობაზე.

საკავშირო საბჭოს დილის სხდომაზე უკანასკნელი გამოდის ამხ. **ს. ნ. ვერშინინი** (კუიბიშევის ოლქი). თავის სიტყვაში ამხ. ვერშინინი აყენებს, კერძოდ, საკითხს, რომ გადიდდეს ასიგნობანი საბინაო - კომუნალური მშენებლობისათვის.

ეროვნებათა საბჭოში

ეროვნებათა საბჭოს 12 იანვრის დილის სხდომას ხსნის ამხ. **ჩერვიაკოვი.**

კამათში გამოდის ვოლგის მხარის გერმანელთა ასს რესპუბლიკის ცაკისა და სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **გ. ა. ლიუფტი.** ლაპარაკობს რა იმაზე, რომ 1937 წლისათვის დასახული ბიუჯეტი უზრუნველჰყოფს ყველა ნაციონალური რესპუბლიკის შემდგომ აყვავებას, ამხ. ლიუფტი მკვეთრი მაგალითებით აშუქებს კულტურის არაჩვეულებრივ ზრდას, განსაკუთრებით უკანასკნელი წლების განმავლობაში.

მოლდავეთის ასს რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარე ამხ. **ნ. ი. სტარი** ლაპარაკობს რესპუბლიკის უდიდეს სამეურნეო ზრდაზე, რომელიც თავის ასახვას პოულობს ბიუჯეტში.

უკრაინის სს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისრის ამხ. **ვ. პ. ზატონსკის** სიტყვა ეხება სახალხო განათლების საკითხებს, იმას, თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკულად მშრომელთა განათლების უფლება, განმტკიცებული სტალინური კონსტიტუციის მე-121 მუხლით. 1935 წლის ბიუჯეტით სახალხო განათლებაზე უკრაინის სს რესპუბლიკაში გაღებული იყო 1.328 მილიონი მანეთი, ხოლო 1937 წელს დაპროექტებულია — გაღებულ იქნას 2.540 მილიონი მანეთი.

ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კულტურისა და კეთილდღეობის უდიდეს ზრდაზე ლაპარაკობს ბაშკირეთის ასს რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარე ამხ. **ა. მ. ტაგიროვი.**

თავის დედაენაზე ლაპარაკობს კარლ მარქსის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნე —ქალი ამხ. **ირდნი დილიკპინოვა** (ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკა).

— მე, როგორც ერთ-ერთი მოსაზღვრე აიმაკის წარმომადგენელი, — აცხადებს დასასრულ ამხ. დილიკპილოვა, — მივესალმები ასიგნობათა გადიდებას ჩვენი მშობლიური წითელი არმიის განსამტკიცებლად.

თავისი ქარხნის — ამხ. ვოროშილოვის სახელობის ქარხნის წარმატებებზე ლაპარაკობს სტახანოველი ამხ. **პ. ფ. დოვნარი** (მინსკი).

ამხ. **ი. კ. ვეტოშკინი** (სსრ კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისია) დაწვრილებით ლაპარაკობს იმ შესწორებებზე, რომლებიც შეაქვს საბიუჯეტო კომისიას 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში. შემდეგ სიტყვა ეძლევა ბელორუსიის მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ამხ. **კ. ფ. ბენეკს.**

ამხ. ბენეკი ჩერდება კოლმეურნეობებისა და მტს-ებისათვის ანგარიშის დარგის მუშაკთა მომზადების საკითხზე. იგი აღნიშნავს, რომ ახლა ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

ქვეითი ჯარის № სკოლის პოლიტხელმძღვანელი ამხ. **ფ. ა. ბურგანოვი** (თათართა ასს რესპუბლიკა) დაწვრილებით მოუთხრობს ეროვნებათა საბჭოს—თათართა ასს რესპუბლიკის 1937 წლის ბიუჯეტის შესახებ.

ამხ. ბურგანოვის გამოსვლით თავდება ეროვნებათა საბჭოს დილის სხდომა.

ამხ. ლ. ბერიას მიმართვის საპასუხოდ

გამოხმაურება ამხ. ლ. ბერიას მიმართვაზე

გაზ. „კომუნისტის" 6 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლი ხელმძღვანელის ამხანაგ ლავრენტი ბერიას მიმართვები საბჭოთა მასწავლებლობისა, პიონერებისა და მოწაფეების მიმართ, რომლებიც პირველად მოთავსებული იყო გაზეთ „ზა კომუნისტიჩესკოე პროსვეშჩენიეს" მიმდინარე წლის 1 იანვრის ნომერში.

ეს მიმართვები წარმოადგენს ნიმუშს მასწავლებლობისა და მოწაფეებისადმი სტალინური ზრუნვისას, რომელსაც მათდამი ამხ. ლავრენტი სისტემატურად იჩენს. ჯერ კიდევ გასული წლის 10 სექტემბერს, ახალი სასწავლო წლის დასაწყისთან დაკავშირებით, ამხ. ლავრენტი მოუწოდებდა საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობას გაემახვილებინათ ყურადღება სწავლისადმი, ესწავლათ ფრიადზე, რადგან „ფრიადზე სწავლა არის საბჭოთა სკოლის მოწაფის სიმამაცისა და გმირობის საქმე". ამ მოწოდებამ მაშინ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის, გაიზარდა ინტერესი სწავლისადმი, იმატა სკოლებში ფრიადოსან მოსწავლეთა რიცხვმა.

მაგრამ დღემდე მიღწეული შედეგები კიდევ არ შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს. სკოლების მუშაობა ჯერ კიდევ არ დგას კომუნისტური განათლების მოწოდების სიმაღლეზე.

ამხანაგი ლავრენტი ბერია თავის მიმართვებში ამახვილებს მასწავლებლებისა და მოსწავლეების ყურადღებას და მოუწოდებს მათ მთელი ენერგიით, ბოლშევიკური მგზნებარებით და შეუპოვრობით იბრძოლონ მათ წინაშე მდგომი დიდი ამოცანების შესასრულებლად.

ამხანაგ ლ. ბერიას მიმართვამ დიდი ენტუზიაზმი და მხურვალე გამოხმაურება გამოიწვია საქართველოს მასწავლებლობასა და მოსწავლეებში.

თბილისის მე-55 საშუალო სკოლის მოწაფეთა მთლიანი კოლექტივი ამხ. ბერიასადმი გაგზავნილ მისასალმებელ წერილში აღნიშნავს, რომ მათ, თანახმად ამხანაგ ლავრენტის მითითებისა, ზამთრის არდადეგების პერიოდში კარგად, მხიარულად და საინტერესოდ დაისვენეს, რომ მათ გაჩნიათ ყოველგვარი პირობები ფრიადზე სწავლისათვის და მზად არიან შეუდგნენ ენერგიულ მეცადინეობას, იბრძოლონ ფრიადოსნობისათვის. ამავე სკოლის პედაგოგიური პერსონალი სიტყვას იძლევა, რომ ამხანაგ ბერიას მიმართვით აღფრთოვანებულნი, მისი ყოველდღიური მზრუნველობით წახალისებულნი, მეორე სემესტრში კიდევ უფრო მეტი ენერგიით შეუდგებიან სასწავლო - აღმზრდელობით მუშაობას და მიაღწევენ იმას, რომ მათი სკოლა გადაიქცეს ნამდვილად სტალინური ეპოქის ახალგაზრდა, ბედნიერი თაობის ღირსეულ სამჭედლოდ.

თბილისის მე-23 საშუალო სკოლის მასწავლებლობა კისრულობს ვალდებულებას სასწავლო წლის დამლევს ერთიორად გაზარდოს ფრიადოსანთა რიცხვი და განამტკიცოს სკოლაში შეგნებული დისციპლინა.

თბილისის მე-15 საშუალო სკოლის მასწავლებელთა კოლექტივი პირობას სდებს, რომ მთელი ენერგიით და ბოლშევიკური მგზნებარებით იბრძოლებს იმ ამოცანების რეალიზაციისთვის, რომლებიც დასახულია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქ. სახკომსაბჭოს 1935 წლის სექტემბრის და 1936 წლის 4 ივლისის დადგენილებებში. ამ სკოლის მასწავლებლობა კისრულობს მთელ რიგ კონკრეტულ ვალდებულებებს და მოუწოდებს ორდენოსანი საქართველოს მთელ მასწავლებლობას ჩაებას სოციალისტურ შეჯიბრებაში სკოლის მუშაობის უმაღლესი მაჩვენებლებისათვის საბრძოლველად.

ასეთივეა თბილისის მასწავლებელთა კონფერენციის, მახარაძის ორდენოსანი რაიონის მასწავლებელთა კონფერენციისა და მთელი რიგი სკოლების მასწავლებელთა პასუხი ამხ. ლავრენტი ბერიას მოწოდებაზე. ყველა ისინი მოწოდებასთან დაკავშირებით იღებენ კონკრეტულ ვალდებულებებს და პირობას იძლევიან, რომ, დიდი სტალინური კონსტიტუციით შეიარაღებულნი, ხალხთა ბელადის დიდი სტალინის მზრუნველობით და საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლი ხელმძღვანელის ამხანაგ ლავრენტი ბერიას მათდამი შეუნელებელი ყურადღებით და დახმარებით წახალისებულნი, მოიკრებენ ახალ ძალას და ენერგიას იმისათვის, რომ საბჭოთა სკოლის მუშაობა სანიმუშოდ დააყენონ, აამაღლონ სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი და აღზარდონ ბედნიერი სოციალისტური სამშობლოს ისეთი ახალგაზრდა თაობა, რომელიც ღირსი იქნება დიდი სტალინის მამობრივი სიყვარულისა და მზრუნველობისა.

მასწავლებლობისა და მოსწავლეების ეს შეპირებები არ დარჩებიან უბრალო სიტყვად. ორდენოსანი საქართველოს მასწავლებლობა, რომელმაც პედაგოგიურ მუშაობასა და სწავლა-აღზრდის საქმეში დიდ წარმატებებს მიაღწია, შესძლებს ღირსეულად, საქმით უპასუხოს ამხ. ლ. ბერიას მოწოდებას, კიდევ უფრო გააძლიეროს ბრძოლა მუშაობის ხარისხისთვის და პირნათლად შეასრულოს საბჭოთა მასწავლებლის ის დიდი და წმინდა მოვალეობა, რომელსაც მას სოციალისტური ეპოქა, დიდი კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება აკისრებენ.

ორდენოსანი საქართველოს ბედნიერი ახალგაზრდობაც, არდადეგების დროს კარგი, მხიარული და საინტერესო დასვენების შემდეგ, ახალი ძალით და ენერგიით შეუდგება მუშაობას, შეუნელებლივ იბრძოლებს—ფრიადებზე სწავლისათვის, სკოლაში შეგნებული დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებისათვის.

ლ. თიკანაძე

◆ ◆

თბილისის მეხუთმეტე სკოლა— ამხ. ლ. ბერიას

ძვირფასო მეგობარო და ხელმძღვანელო ლავრენტი. ჩვენ, თბილისის მე-15 სანიმუშო საშუალო სკოლის მასწავლებლებმა, უდიდესი სიხარულითა და კმაყოფილებით წავიკითხეთ თქვენი წერილი მასწავლებლებისადმი, მოთავსებული „ზა კომუნისტიჩესკოე პროსვეშჩენიეს" 1937 წ. 1 იანვრის ნომერში.

ეს წერილი უდიდეს ამოცანებს აყენებს საბჭოთა მასწავლებლობის წინაშე სოციალისტური სამშობლოს ბედნიერი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

იგი გვახალისებს და გვასულდგმულებს სახალხო განათლების ფრონტზე თავდადებული ბრძოლისათვის.

კომუნისტური პარტიისა და პირადად დიდი სტალინის შეუნელებელი მზრუნველობით საბჭოთა მასწავლებლობა ისტორიაში „პირველადაა აყვანილი იმ სიმაღლეზე, რომელზედაც იგი არასოდეს არ მდგარა, არა დგას და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში".

თქვენ სისტემატურად გვასწავლით ბავშვებისადმი გულისხმიერ მიდგომასა და სიყვარულს. სიტყვას გაძლევთ, რომ უზრუნველვყოფთ მათ სტალინური მზრუნველობითა და ალერსით, დროულად დავეხმარებით სწავლაში და შევუქმნით პირობებს თვითეული მოწაფის შემოქმედებითი ძალისა და უნარის გაფურჩქვნას.

დიდი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე აღვზრდით საბჭოთა პატრიოტებს, ჩვენი დიდი სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლებს.

ვღებულობთ კონკრეტულ ვალდებულებებს და მოვუწოდებთ ორდენოსან საბჭოთა საქართველოს მთელ მასწავლებლობას — ჩავებათ სოციალისტურ შეჯიბრებაში:

1. სკოლებში წამყვანი დისციპლინების სანიმუშოდ დაყენებისათვის.
2. მცოდნეობისათვის, ლამაზი წერისა და კულტურული მეტყველებისათვის.
3. სკოლაში სანიმუშო წესრიგისა და შეგნებული დისციპლინისათვის.
4. ორწლიანობის აღმოფხვრისათვის;
5. პედოლოგიური ცრუმეცნიერების ნაშთების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისათვის.
6. მასწავლებელთა პედაგოგიური კვალიფიკაციისა და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრ. კომიტეტის ხელმძღვანელობით, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისადმი პირადად თქვენი ყოველდღიური ყურადღებითა და მზრუნველობით ჩვენ შევძლებთ საბჭოთა მასწავლებლობის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტას.

გაუმარჯოს ლენინ - სტალინის დიდ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა კონსტიტუციის გენიალურ შემოქმედს — დიდ სტალინს!

გაუმარჯოს დიდი სტალინის ერთგულ მოწაფეს და თანამებრძოლს ამხ. ლავრენტი ბერიას!

(ხელს აწერს მე-15 სკოლის 30 მასწავლებელი).

მახარაძის რაიონის მასწავლებლობა— ამხ. ლ. ბერიას

მახარაძის რაიონის მასწავლებელთა კონფერენცია მხურვალედ გესალმებათ თქვენ, ძვირფასო ლავრენტი, საქართველოს მშრომელი ხალხის სტალინურ ხელმძღვანელს, მასწავლებლების და მოსწავლეების საყვარელ მეგობარს.

თქვენი მიმართვა მასწავლებლებისადმი ღრმად აღიბეჭდა თვითეული ჩვენგანის გულში და ენერგიას გვმატებს ბედნიერი ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდისათვის ბრძოლის საქმეში.

ჩვენი რაიონი, რომელიც მოწინავეთა რიგებში დგას სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე, კიდევ უფრო აამაღლებს თავის შემოქმედებითი უნარიანობას თქვენი მითითებების შესასრულებლად.

ვგრძნობთ რა იმ გულთბილ და ყოველდღიურ მზრუნველობას, რომელსაც გვიწევს პარტია და მთავრობა ბრძენი ბელადის—დიდი სტალინის მეთაურობით, ჩვენ კიდევ უფრო დავირაზმებით პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის განათლების ფრონტზე, განვამტკიცებთ შეგნებულ დისციპლინას, ვიბრძოლებთ მოსწავლეთა აკადემიური დონის შემდგომი ამაღლებისათვის და გავზრდით ფრიადოსანთა რიცხვს, სავსებით აღმოვფხვრით რაიონის სკოლებში პედოლოგიურ დამახინჯებათა ნაშთებს, უზრუნველვყოფთ 1936-37 სასწავლო წლის მაღალი მაჩვენებლებით დამთავრებას.

გაუმარჯოს მსოფლიოს მშრომელთა ბელადს—დიდ სტალინს!

გაგიმარჯოსთ თქვენ, საქართველოს მშრომელთა სახელოვანო წინამძღოლო, სტალინურო ხელმძღვანელო, ამხანაგო ლავრენტი!

კონფერენციის პრეზიდიუმი

◆ ◆

მათი აღფრთოვანება

10 იანვარს, მეცადინეობის დაწყების დღეს, თბილისის ყველა სკოლაში განიხილეს საქართველოს ბოლშევიკთა ხელმძღვანელის ამხ. ლ. ბერიას წერილი პიონერებისა და მოწაფეებისადმი.

მე-86 სრული საშუალო სკოლის მოწაფეებმა იკისრეს „ფრიადზე" ისწავლონ, განამტკიცონ დისციპლინა, მოსპონ გაკვეთილებზე დაგვიანება, ფრთხილად და შეგნებულად მოეპყრან სასკოლო ინვენტარს.

მე-63 არასრული საშუალო სკოლის მოწაფეებმა ამხ. კზარტამიანმა, ჩუპრინმა, ჟუკოვმა, ბარსკიმ, ცედრიკომ და ბაბახანოვამ სიტყვა მოგვცეს, რათა ამიერიდან „ფრიადზე" ისწავლიან. მე-6 კლასის სუსტმა მოწაფეებმა შახპარუნოვმა, სარიბეკოვმა, გასპარიანმა, ყორღანოვმა და პეტროსიანმა პირობა მოგვცეს გაადიდონ წარმატება რუსულ ენაში.

ასეთივე ვალდებულებანი იკისრეს მე-35 სრული საშუალო სკოლის მოწაფეებმა ამხ. მინდელმა, დავითაიამ, ქუთათელაძემ და სხვ.

მე-86 არასრული საშუალო სკოლის პედაგოგებმა ამხ. ბერიას მიმართვის პასუხად იკისრეს (ცალკე მეცადინეობა მოაწყონ ჩამორჩენილ მოწაფეებთან, თვითეულმა—თავთავის დისციპლინებში, აამაღლონ კომუნისტური აღზრდა ბავშვებს შორის საუბრების, წრეების მოწყობის გზით, განამტკიცონ დისციპლინა, სავსებით მოსპონ ჩამორჩენა მოწაფეებს შორის.

მე-63 არასრული საშუალო სკოლის პედაგოგებმა ამხ. ლ. ბერიას მოწოდების პასუხად იკისრეს, იყვნენ სტალინური ეპოქის ახალი თაობის ღირსეული აღმზრდელნი და ჩვენს ქვეყანას მისცენ სოციალისტური სამშობლოს ერთგული, სერიოზული ადამიანები.

მეშვიდე სრული საშუალო სკოლის მასწავლებელმა ქალმა, ორდენოსანმა ამხ. ა. ხუსკივაძემ იკისრა მტკიცე ვალდებულება: სავსებით აღკვეთოს კლასში მოწაფეთა მეორე წელიწადს ჩარჩენა და მოწაფეთა სისუსტე იმ კლასებში, სადაც იგი ასწავლის. (საქდესი).

ბათომის მასწავლებელთა გამოხმაურება

ბათუმი, 13 იანვარი (საქდესი). ბათომის განათლების მუშაკნი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ამხ. ბერიას მიმართვას მასწავლებლებისადმი.

პარტიის ქალაქკომში შესდგა ქალაქის ყველა სკოლისა და სკოლამდელი ორგანიზაციის დირექტორთა, გამგეთა და მასწავლებელთა ფართო თათბირი. ამხ. ლ. ბერიას მიმართვა თათბირზე მუხლობრივ განიხილეს.

15 იანვარს მოიწვევენ პედაგოგიურ თათბირს. რომელზედაც შეაჯამებენ სწავლის შედეგებს პირველი ნახევარიწლის განმავლობაში, იმავე დღეს გაიმართება მოწაფეთა მშობლების თათბირი. 18 იანვარს მოიწვევენ განათლების მუშაკთა საერთო საქალაქო შეკრებას.

„დარეჯან ცბიერი", ოპერა საქართველოს სახალხო არტისტ მელიტონ ბალანჩივაძისა, მოსკოვის დიდი საოპერო თეატრის სცენაზე. სურათზე: სცენა I მოქმედებიდან. ფოტო ბ. ფიშმანისა („სოიუზფოტო")

ქართული ხელოვნების დეკადა მოსკოვში

(მოსკოვი, 12 იანვარი, ტელეფონით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

გუშინ საღამოს და დღეს დილით დიდ თეატრში დიდი წარმატებით დაიდგა ოპერა „ქეთო და კოტე", რესპუბლიკის სახალხო არტისტი პროფ. გოლდენვეიზერი თავის წერილში დღევანდელი „იზვესტიას" ფურცლებზე ამ ოპერას უწოდებს მშვენიერ მხიარულ სპექტაკლს, რომელიც მსუბუქი და სახალისო მოსასმენია. იგი აღნიშნავს, რომ ოპერა საუცხოვოდაა დადგმული, ჩინებულია დეკორაციები, ცოცხალი და ბუნებრივია არტისტების თამაში მკაფიოდ ბგერს ორკესტრი, კარგი ხმები აქვთ და მშვენივრად მღერიან სოლისტები, მშვენიერია გუნდი და, დასასრულ, სავსებით არაჩვეულებრივია თავისუფალი გრაციითა და უშუალო მომხიბლაობით ბალეტი.

O

გუშინ საღამოს კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში დიდი წარმატებით ჩაიარა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდების გამოსვლამ.

O

დღეს დილით კომინტერნის სახელობის რადიოსტუდიამ გადასცა გუნდების ცალკეული ნომრები და მეჩონგურეთა ანსამბლის დაკვრა.

O

ხვალ საღამოს მოსკოვის ერთერთ საუკეთესო კინოთეატრში — პირველ ცენტრალურ კინოთეატრში — დაიწყება საქართველოს სახკინმრეწვის ახალი მხატვრული სურათის „დარიკოს" ჩვენება.

O

ქართული ხელოვნების დეკადა მთავრდება. თქვენს კორესპონდენტთან საუბარში დეკადის წინასწარი შედეგების შესახებ თბილისის ოპერისა და ბალეტის დირექტორმა ამხ. ჰყონიამ შემდეგი განაცხადა:

— მოსკოვი არაჩვეულებრივად გულთბილად შეხვდა ჩვენს თეატრს. მოსკოვის საზოგადოებრივი და თეატრალური წრეები და პრესა თეატრს დიდ ყურადღებას უთმობდნენ. თეატრი მოდიოდა მოსკოვში თავის ძალების რწმენით, მაგრამ ამ შეხვედრამ დაგვაკისრა ახალი ვალდებულებანი, ძალა შეგვმატა, მთელი ძალღონის მობილიზაცია მოგვახდენინა. „დაისის" პირველმა სპექტაკლმა განუმტკიცა თეატრის კოლექტივს წარმატების რწმენა. მაღალი შეფასება მიიღო „დარეჯან ცბიერმა" და შემდეგ „აბესალომ და ეთერმა".

თვით დიდი სტალინი და მისი თანამებრძოლნი უკრავდნენ ტაშს ჩვენს არტისტებს.

ამავე დროს დაიწყო პაჭკორიას და კავსაძის სახელმწიფო გუნდების წარმატებითი გამოსვლები. ეს თითქოს დემონსტრაცია იყო სახალხო-მუსიკალური შემოქმედების იმ წყაროებისა, საიდანაც იკრებდნენ ქართველი კომპოზიტორები მაცოცხლებელ ძალას.

მოსკოვის მუსიკალური საზოგადოებრიობა მაღალ შეფასებას აძლევს ქართულ ოპერას და მის არტისტებს. „აბესალომ და ეთერი" დიდი თეატრის რეპერტუარში შეაქვთ, ჩვენი თეატრი მზად არის ყოველნაირად შეუწყოს ამ მხრივ ხელი დიდ თეატრს.

ჩვენი თეატრის არტისტები უდიდეს სიხარულს განიცდიან. ისინი ერთხმად აცხადებენ რომ ის დღეები, როდესაც მათ დიდი თეატრის სცენიდან დაინახეს ამხანაგი სტალინი, როდესაც დიდმა ბელადმა მოიწონა მათი თამაში სიმღერა და ცეკვა, — უბედნიერესი დღეები იყო მათ სიცოცხლეში.

ქართული ხელოვნების დეკადის დღეებში თავის წარმატებას თეატრი უნდა უმადლოდეს ამხ. ლ. პ. ბერიას ყოველდღიურ ხელმძღვანელობას. იგი კონკრეტულად ხელმძღვანელობდა დეკადის გატარებას და ჩვენი თეატრის მთელი კოლექტივი თავის სიხარულს მას უზიარებდა.

თბილისის ოპერის არტისტები დიდი აღფრთოვანებით მღეროდნენ. სპექტაკლებზე პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა დასწრება აღაფრთოვანებდა მათ. განსაკუთრებით მოხიბლა მაყურებლები ამირანაშვილისა და დ. გამრეკელის თამაშმა და სიმღერამ. წარმატებით ჩაიარა სოხაძის, ახალგაზრდა მომღერალ მერი ნაკაშიძის, (კომაიას), ქუმსიაშვილის და ანდღულაძის გამოსვლებმა. წარმატებით გამოდიოდა ახალგაზრდა მომღერალი ხამაშურიძე, (ბანი). დარბაზი ოვაციებით ხვდებოდა ბალეტის არტისტებს ლილი გვარამაძეს და ვახტანგ ჭაბუკიანს. არტისტების, გუნდისა და ბალეტის მთელი კოლექტივი ამ ღირსშესანიშნავ დღეებში შეხმატკბილებულად და შეთანხმებულად მუშაობდა და საერთო ჰარმონიას ჰქმნიდა.

ხელმძღვანელი სამხატვრო პერსონალი — ა. წუწუნავა, ჯავრიშვილი, ალსაბაძე, გამრეკელი, პატარიძე, ვირსალაძე, ქობულაძე განსაკუთრებით შეწყობილად და თავდადებით მუშაობდა. მთელი კოლექტივი სწრაფად შეეგუა დიდი თეატრის ტექნიკურ პირობებს. ამაში მათ მეგობრული დახმარება გაუწია დიდმა თეატრმაც.

ჩვენი თეატრის კოლექტივი მხნედ გრძნობს თავს. თეატრის ყველა მუშაკი მოთავსებულია მოსკოვის საუკეთესო სასტუმროებში. ამხანაგურ ატმოსფეროში ჩაიარა არტისტების შეხვედრამ „რაბოჩაია მოსკვას" და „იზვესტიას" მუშაკებთან. თეატრმა შექების მრავალი წერილი მიიღო, ამ ღირსშესანიშნავ დღეებში თეატრის კოლექტივმა მისალმება გაუგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და იკისრა ვალდებულება — განაგრძოს და წინ წასწიოს თავისი მუშაობა.

ქართული სიმღერისა და ცეკვის კონცერტი

მოსკოვი, 11 იანვარი (საქდესი). გუშინ კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში შესდგა ქართული სიმღერისა და ცეკვის კონცერტი. მოსკოველებს კვლავ ჰქონდათ შესაძლებლობა ყოველმხრივ გაცნობოდნენ ქართველი ხალხის მაღალ მუსიკალურ კულტურას. კონცერტის ვრცელ პროგრამაში შედიოდა გამოსვლები აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდისა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. კავსაძის ხელმძღვანელობით და დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით.

პირველი განყოფილება გაიხსნა „სიმღერით სტალინზე", რომელიც დიდი გრძნობით შეასრულეს. დიდი წარმატებით სარგებლობდა „სიმღერა ბელადზე", სახუმარო ქართლური სიმღერა „შარი-შური", მასობრივი ცეკვა „დავლური" და „სიმგა", აგრეთვე საბავშვო ცეკვა, რომელიც მცირეწლოვანმა შურა გაბრიელოვმა შეასრულა.

მეორე განყოფილებაში დიდი ოსტატობით იყო შესრულებული იმერული „გამარჯვების სიმღერა", ამხანაგ სტალინისადმი მიძღვნილი, გურული და მეგრული სიმღერები, სვანური ფერხული „ცერული", აფხაზური ცეკვა და მთიულური, პოპულარული ხალხური ქართული ცეკვა ლეკური.

კონცერტმა დიდი მხატვრული სიამოვნება აგრძნობინა მაყურებლებს და ისინი შემსრულებლებს აღფრთოვანებული ტაშით აჯილდოვებდნენ.

კ. ი. ჭყუასელი

საქართველოს განათლების სახალხო კომისარი

საქმით ვუპასუხოთ ამხ. ლ. ბერიას მომართვებს!

ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკების ნაცადმა ხელმძღვანელმა, საუკეთესო სტალინელმა ამხ. ლ. ბერიამ თავის მიმართვებში საბჭოთა მასწავლებლობის, პიონერებისა და მოსწავლეებისადმი მთელი სიმწვავით დააყენა სკოლის ხარისხობრივი გაუმჯობესების ამოცანა. ამხ. ლავრენტის მითითებანი საბჭოთა მასწავლებლობის, მოსწავლე ახალგაზრდობისა და განათლების ორგანოების მოქმედებისა და ბრძოლის პროგრამაა, მათი ბოლშევიკურად შესრულება ღირსების, სახელისა და გმირობის საქმეა.

ამხ. ლავრენტი მოუწოდებს მასწავლებლობას იყონ „დიადი სტალინური ეპოქის ახალგაზრდა, ბედნიერი თაობის ღირსეული აღმზრდელები", მიმართავს მოსწავლეებს და ეუბნება მათ „აამაღლეთ სწავლის ხარისხი, განამტკიცეთ შეგნებული დისციპლინა და წესრიგი სკოლაში. ფრიადოსნული სწავლით და სანიმუშო დისციპლინით უპასუხეთ დიდი სტალინის მამობრივ სიყვარულსა და მზრუნველობას. მზად იყავით ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის საბრძოლველად".

ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მშრომელი მასების კულტურული დონის გადაჭრით ამაღლების საქმეში ისტორიული მნიშვნელობის წარმატებას მივაღწიეთ: გატარებულია საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლება, მალე გატარდება საყოველთაო სწავლება არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში. ორდენოსან საქართველოს დაწყებით და საშუალო სკოლებში 700 ათასი ბავშვი სწავლობს და 20 ათასამდე მასწავლებელი მოღვაწეობს; განხორციელებულია ლენინის ანდერძი მასწავლებლის შესახებ; ჩვენი მასწავლებლობის სახელოვანი რიგებიდან გამოიყო პედაგოგიური მუშაობის საუკეთესო ოსტატების არა ერთი ასეული; სკოლის შესახებ პარტიისა და მთავრობის ისტორიულ დადგენილებათა და პირადად დიდი სტალინის მითითებების განხორციელებისათვის ბრძოლის საფუძველზე გაუმჯობესდა და დღითიდღე უფრო და უფრო მტკიცდება ახალი თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმე. მაგრამ ამ წარმატებათა მიუხედავად, ჩვენი სკოლა ჯერ კიდევ არა დგას კომუნისტური აღზრდის უდიდეს ამოცანათა სიმაღლეზე და ვერ აკმაყოფილებს ორდენოსანი რესპუბლიკის გიგანტურად გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებებს, ის ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ აიარაღებს ახალგაზრდობას მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნით, სკოლაში დამკვიდრებული არ არის მტკიცე რეჟიმი და ბოლშევიკური წესრიგი, მასწავლებელთა საზოგადოებრივ - პოლიტიკური, მეცნიერული და პედაგოგიური მომზადების დონე ჯერ კიდევ ყველგან ვერ შეეფერება მის წინაშე დასმულ ამოცანებს და უდიდეს მოთხოვნილებებს, ჯერ კიდევ არ არის მთლიანად აღკვეთილი სკოლის „კვდომის" სულელური თეორიის ნამსხვრევები, არ არის აღმოფხვრილი თეორიასა და პრაქტიკაში პედოლოგიის ნაშთები, არ არის გადალახული გარღვევა სკოლის სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, არ არის დაცული სწავლებისა და აღზრდის ლენინური მთლიანობა და მოსწავლეთა კომუნისტურად აღზრდისათვის ყოველდღიური ბრძოლა. საგრძნობლად მოიკოჭლებს განათლების ორგანოების ხელმძღვანელობა განათლების ფრონტისადმი, მასწავლებლის და მოსწავლის ყოველდღიურ - კონკრეტული მომსახურება და ხელმძღვანელობა.

ამხ. ბერიას მომართვა განათლების ორგანოებს, მასწავლებლობას და მოსწავლეებს მოუწოდებს ბოლშევიკური თავგამოდებითა და შეუპოვრობით, იბრძოლონ სკოლის მუშაობის მაღალი ხარისხისათვის.

საზამთრო არდადეგების შემდეგ ჩვენ სწავლას ვანახლებთ, ამხ. ლავრენტის ბოლშევიკური მოწოდებითა და მითითებებით შეიარაღებულნი, მხურვალე და მზრუნველი სალამით გამთბარი და წახალისებულნი.

ამხ. ლავრენტის მომართვა მისი ჩვენდამი მზრუნველობა ჩვენს პასუხს მოითხოვს. ჩვენი პასუხი კი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: ბოლშევიკური საქმით გამოვეხმაუროთ ჩვენი ხელმძღვანელის მომართვას. თვითეულმა სკოლამ, მასწავლებელმა, მოსწავლემ თავისი ბრძოლის პროგრამად დაისახოს ამხ. ბერიას მომართვის რეალიზაცია, საფუძვლად დაუდოს სასწავლო - აღმზრდელობითს საქმეს, გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება და ავიღოთ კონკრეტული ვალდებულებანი. განათლების განყოფილებებმა, სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) უნდა გაშალონ ფართო მუშაობა, დაიყვანონ თვითეულ მასწავლებლამდე, მოსწავლემდე, სკოლის ყველა მუშაკამდე, მშობლებამდე ამხანაგ ლავრენტის მითითებანი და დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი მისი სრული და ღირსეული შესრულებისათვის. მუდამ უნდა ახსოვდეს საბჭოთა მასწავლებელს, რომ ამხ. ბერია მას მოუწოდებს იყოს „დიადი სტალინური ეპოქის ახალგაზრდა, ბედნიერი თაობის ღირსეული აღმზრდელი", პიონერს, მოსწავლეს—ის, რომ ფრიადზე სწავლა მათი გმირობისა და ღირსების საქმეა.

განათლების სახალხო კომისარიატი ამხ. ლ. ბერიას მიმართვათა საპასუხოდ ვალდებულია გადაჭრით გააუმჯობესოს სკოლის ხელმძღვანელობა და იბრძოლოს ორდენოსანი საქართველოს განათლების ფრონტის ღირსეული ხელმძღვანელის პასუხსაგები როლისა და მოვალეობის შესასრულებლად.

სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მთლიანად და მაღალი ხარისხით შესრულება, სწავლების მეთოდების, ხერხებისა და ორგანიზაციის საფუძვლიანი გაუმჯობესება; მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობისა და ორწლიანობის წინააღმდეგ გადამჭრელ პედაგოგიურ ღონისძიებათა გატარება; შეგნებული დისციპლინის, რეჟიმისა და წესრიგის განმტკიცება; მოსწავლე ახალგაზრდობაში კომუნისტური მორალის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური პატრიოტიზმის, ბოლშევიკური ზნეობისა და გმირული სულისკვეთების აღზრდა; ბავშვთა ესთეტიკური აღზრდისა და თვითმოქმედი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე აყვანა; სკოლის სოციალისტური ქონების დაცვა, მეტი სარგებლიანობით გამოყენება და სკოლის კარმიდამოს სანიმუშო კულტურულ კერად გადაქცევა, სასწავლო-დამხმარე მეურნეობის მოწყობა, საბჭოთა საზოგადოებრივობის ინიციატივის შემდგომი ზრდისა და სწორად დაყენებული ხელმძღვანელობის საფუძველზე მოსწავლეთა სკოლის გარეშე ცხოვრების უკეთესი ორგანიზაცია, მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვის ფართოდ გაშლა; გამაჯანსაღებელი მუშაობის ჯეროვან სიმაღლეზე აყვანა, მომავალი სასწავლო წლისათვის მზადების ახლავე გაშლა—ასეთია ის საბრძოლო ამოცანები, რომლებიც უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი სკოლის ხარისხობრივი ზრდის მიმართულებით. მოსწავლე ახალგაზრდობამ სოციალისტური სამშობლოს წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობის შეგნებით და სტალინის დიადი ეპოქის ახალი თაობისათვის ჩვეული გატაცებითა და ენტუზიაზმით უნდა იბრძოლოს სწავლის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. ჩვენმა მასწავლებლობამ მთელი ენერგიითა და ბოლშევიკური სიმტკიცით უნდა იბრძოლოს და გაამართლოს სოციალიზმის ქვეყნის ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდის უაღრესად საპატიო სახელწოდება, უზრუნველჰყოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნა და საუკეთესო შედეგების მიღწევა. განათლების განყოფილებათა და სკოლის ხელმძღვანელებმა ამხ. ლავრენტი ბერიას მომართვათა საფუძველზე უნდა დასახონ მუშაობის გარდაქმნა-გაუმჯობესების კონკრეტული გეგმა და უხელმძღვანელონ მასწავლებლობისა და მოსწავლეთა ინიციატივას და ენტუზიაზმს სწავლებისა და აღზრდის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის საქმეში.

სკოლის მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის ბრძოლის საფუძველზე ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება მოსწავლეთა, მასწავლებელთა, კლასთა, სკოლათა და განათლების განყოფილებათა შორის. სწავლებისა და აღზრდის მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით ვუპასუხოთ ამხ. ლავრენტის მოწოდებებს და ბოლშევიკური საქმით გავამართლოთ მისი ყურადღება და მზრუნველობა. გავხადოთ 1937 წელი სასკოლო მუშაობის საფუძვლიანი გარდაქმნისა და გაძლიერების წლად.

◆

„ქეთო და კოტე"

(მოსკოვის პრესის რეცენზიები)

„პრავდაში" „ქეთო და კოტეს" სპექტაკლის შესახებ, რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა დასდგა სსრ კავშირის დიდ თეატრში, დ. ზასლავსკი სწერს:

ხალხი, რომელიც კარგად იბრძვის თავისუფლებისათვის, კარგად იცინის. სასოწარკვეთილება სულმდაბალთა თვისებაა.

გადადის რა ამ მუსიკალური კომედიის შესრულების შეფასებაზე, ზასლავსკი აღნიშნავს, რომ არტისტებმა თავი გამოიჩინეს მხიარულებისა და სიცილის მაღალი ოსტატობით. კინტოების საქოსა და სიკოს კუპლეტებს მშვენივრად ასრულებენ საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლ. კავსაძე და ზ. სვანიძე. ძველი დროის კომიკური მაჭანკლების კოლორიტული სახე მოგვცეს არტისტებმა ნ. ცომაიამ (ვარვალე), ა. სთეფანიანმა (ბაბუსი). მ. ნაკაშიძის შესრულებით ქეთო იყო მშვენიერი, მიმზიდველი, მომხიბლველი და მომჯადოვებელი. მისი პარტნიორი მ. ყვარელაშვილი, სამწუხაროდ, ნაკლებ ანსახიერებს კოტეს როლს. კარგად მღერის და თამაშობს ლ. ისეცკი (ვაჭარი მაკარი).

იუმორით ალსავსეა ცეკვა. თავადაზნაურთა ბალის პაროდიამ მთელი დარბაზის მქუხარე ტაში გამოიწვია.

— საერთოდ კი, — აღნიშნავს ზასლავსკი, — სპექტაკლი გვიჩვენებს, თუ რამდენ მრავალფეროვანია, რამდენ მდიდარია საქართველოს ხალხური კულტურა, თუ რა საგანძურია ამ კულტურაში ჩამარხული, თუ რა მხატვრული შემოქმედების სათავე სჩქეფს მასში.

O

13 იანვარს, „პრავდა" ბეჭდავს სსრ კავშირის დიდი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის რსფს რესპუბლიკის სახალხო არტისტის ს. ა. სამოსუდის სტატიას — „ქართული ოპერები დაიდგმება სსრ კავშირის დიდ თეატრში".

„ნაზსა და მომხიბლავ ქართულ მელოდიებს, — სწერს ს. ა. სამოსუდი, — ორიგინალურსა და უნაზეს ჰარმონიას და მრავალხმოვან სიმღერას (პოლიფონია) არ შეუძლია ახალგაზრდა საბჭოთა კომპოზიტორების ყურადღება არ მიიქციოს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი საყვარელი ქართველი ხალხის ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები ძვირფასი განძი იქნება საბჭოთა კლასიკური ოპერის შექმნის საქმეში".

იგი ჰფიქრობს, რომ „აბესალომ და ეთერი" ქართული ხელოვნებისათვის ისეთივე მონუმენტალური ნაწარმოებია, როგორც გლინკას გენიალური ოპერა „რუსლან და ლიუდმილა" რუსული ნაციონალური მუსიკისათვის.

ოპერა „აბესალომ და ეთერის" დადგმას თეატრი შეუდგება 1937 წლის თებერვალში.

ოპერა „აბესალომ და ეთერის" დასადგმელად დიდი თეატრი იწვევს ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ძალებს — საუკეთესო მხატვრებს, რეჟისორებსა და სხვ., რომლებიც კარგად იცნობენ ქართულ ხელოვნებას.

ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის" პრემიერა სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სცენაზე გათვალისწინებულია მაისში ან, უკიდურეს შემთხვევაში, საზაფხულო დასვენების შემდეგ — სექტემბერში, ოპერა „დაისის" პრემიერა კი ამ წლის ნოემბერ-დეკემბერში.

ესპანეთის ფრონტებზე

პარიზი, 12 იანვარი (საქდესი). ესპანეთის მთავრობის ცნობაში, გუშინ ფრონტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ ნათქვამია, რომ მეამბოხეებმა იერიშები მიიტანეს რესპუბლიკელთა პოზიციებზე ალგორაში (სიგუენსის სამხრეთით) და მირაბუენოში. იერიშები მოგერიებულ იქნა.

მადრიდის ფრონტზე მთავრობის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ ლას როსასის, მახადაონდის და ვილიანუევა დელ პარდილიოს მიმართულებით. ხშირი ნისლის მიუხედავად, რესპუბლიკელებმა შეასრულეს სარდლობის ყველა დავალება. ხელთ იგდეს მეამბოხეთა მიერ დატოვებული დიდძალი საომარი მასალა.

მადრიდის ფრონტის მეორე სექტორში, მთელ რიგ ხელჩართულ შეტაკებათა შედეგად, მთავრობის ჯარებმა გააუმჯობესეს თავისი პოზიციები.

ბილბაო, 12 იანვარი (საქდესი). ასტურიის ფრონტზე რესპუბლიკელთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ სან-კლაუდიოს სექტორში, ოვიედოს ჩრდილო-დასავლეთით. ბრძოლის შედეგად მეამბოხეებს მოუკლეს და დაუჭირეს მრავალი ჯარისკაცი.

პოლა დე გორდონში (ლეონის ჩრდილოეთით) ჩამოვიდა 29 მოქალაქე, რომელნიც გამოექცნენ ფაშისტების ძალადობას.

ვალენსია, 12 იანვარი (საქდესი) მთავრობის თვითმფრინავთა ესკადრილიამ ყუმბარები დაუშინა მეამბოხეთა პოზიციებს ფასტრავალოში, რათა ხელი შეეშალა ამ სოფელსა და ტერუელს შორის კავშირის გაბმისთვის, ესკადრილია თავის ბაზებზე უვნებლად დაბრუნდა.

მოწინააღმდეგე უკუქცეულია

პარიზი, 12 იანვარი (საქდესი). მადრიდის დაცვის კომიტეტის ცნობაში, რომელიც დღეს შუადღისას გამოქვეყნდა, ნათქვამია:

„რესპუბლიკის ჯარებმა, მოიგერიეს რა მეამბოხეთა იერიშები მადრიდის დასავლეთით, დაიწყეს კონტრშეტევა და უკუაქციეს მოწინააღმდეგე მახადაონდესა, ვილიანუევა დელ პარდილიოსა და პოსუელოსკენ. კორუნიას გზა განთავისუფლებულია. ახალი პოზიციების გაწმენდისა და შენარჩუნებისათვის წარმოებული ოპერაციები გრძელდებოდა დილის განმავლობაში“.

მეამბოხეთა დამარცხება ესტეპონის რაიონში

ლონდონი, 12 იანვარი (საქდესი). „დეილი ჰერალდის“ გიბრალტარელი კორესპონდენტის ცნობით, მეამბოხეთა ჯარებმა მალაგაზე უკანასკნელი შეტევის დროს დიდი დამარცხება განიცადეს. ესტეპონის რაიონში მეამბოხეებმა 4 ტრალერიდან გადმოსხეს დესანტი მეამბოხეთა სხვა რაზმების გასაძლიერებლად. რესპუბლიკის ჯარებმა დესანტის გადმოსხმას წინააღმდეგობა არ გაუწიეს, შემდეგ კი ალყა შემოარტყეს და დაამარცხეს დესანტი. რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს და მალაგაში წაიყვანეს ტრალერები.

მეამბოხეთა არმიას შეემატა გერმანელი და იტალიელ ოფიცრების ახალი ჯგუფები.

„მორნინგ პოსტის“ გიბრალტარელი კორესპონდენტი იუწყება, რომ კრეისერებმა „ალმირანტე სერვერამ“ და „კანარიასმა“, რომლებიც ხელში ჩაიგდეს მეამბოხეებმა, გუშინ ყუმბარები დაუშინეს მალაგას.

ინიციატივა რესპუბლიკის ჯარების ხელშია

ლონდონი, 12 იანვარი (საქდესი). „ნიუს ქრონიკლის“ მადრიდელი კორესპონდენტის ცნობით, უკანასკნელ 24 საათში ინიციატივა მადრიდის ფრონტზე რესპუბლიკის ჯარების ხელში გადავიდა, რომლებმაც შეინარჩუნეს პოზიციები ესკორიალის გზის გასწვრივ და წინ მიიწიეს დანარჩენ პუნქტებში. მეამბოხეებს იმედი ჰქონდათ, რომ ისინი მოახერხებენ ესკორიალის გარნიზონის იზოლირებას და ამგვარად თავის კონტროლს დაუმორჩილებენ რკინიგზის ხაზს ავილასა და ესკორიალის შუა. ეს იმედი გაუცრუვდათ.

მეამბოხეები მოსტყუვდნენ

ლონდონი, 11 იანვარი (საქდესი). „მორნინგ პოსტის“ მადრიდელი კორესპონდენტი, აჯამებს რა მადრიდის ფრონტზე უკანასკნელ კვირაში ჩატარებული ოპერაციების შედეგებს, აღნიშნავს, რომ მთავრობის ჯარების ხაზი უკან არის დაწეული, მაგრამ ფრონტი არ არის გარღვეული, რის იმედიც მეამბოხეთა სარდლობას ჰქონდა. ახლანდელი სიწყნარე, განაგრძობს კორესპონდენტი, შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ბრძოლის პირველი ტურის დასასრულს. კორესპონდენტის სიტყვით, „მთავრობამ, ეჭვი არაა არსებითად, მოიგო ეს ტური. ის, რაც მეამბოხეებმა მიიღეს, ვერ ამართლებს ერთი კვირის ბრძოლებს და მძიმე დანაკლისს, რომელიც მათ განიცადეს მადრიდის დამცველთა სიმამაცის მეოხებით“.

მეამბოხეთა გემების ბომბარდირება

ლონდონი, 11 იანვარი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ბაიონიდან ატყობინებენ, ესპანეთის მთავრობის თვითმფრინავებმა ძლიერი ბომბარდირება დაუწყეს მეამბოხეთა გემებს, რომლებიც ბილბაოსა და სან სებასტიანის მახლობლად გამოჩნდნენ. ეს გემები იძულებული გახდნენ წასულიყვნენ ამ რაიონიდან.

ბასკთა მთავრობის შეიარაღებულმა გემებმა, რომლებიც სანაპიროებს იცავენ, ონდაროას მახლობლად ხელთ იგდეს მეამბოხეთა კარჭაპა. ბისკაის ყურეში მთავრობის კარჭაპამ „ნავარამ“ უკუაქცია მეამბოხეთა გემი „ველასკო“ და მეორე გემი, რომელიც „ველასკოს“ ახლდა.

ინგლისის მთავრობის ნოტა საფრანგეთს

პარიზი, 11 იანვარი (საქდესი). გუშინ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ვიენომ მიიღო ინგლისის ელჩი პარიზში კლერკი. ელჩმა ვიენოს გადასცა ინგლისის მთავრობის ნოტა მოხალისეთა შესახებ ესპანეთში. ნოტა შეიცავს მოთხოვნას, რათა საფრანგეთის, სსრ კავშირის, გერმანიის, იტალიის და პორტუგალიის მთავრობებმა აცნობონ ვადა, როცა ისინი მზად იქნებიან გაატარონ ზომები მოხალისეთა გაგზავნის წინააღმდეგ. ნოტაში აღნიშნულია, რომ ინგლისის მთავრობას, ამ სახელმწიფოთა პასუხის მიღებამდე, ძალაში შეჰყავს კანონი, რომელიც კრძალავს ინგლისის ქვეშევრდომთა შეგროვებას უცხოელთა არმიებში ჩასარიცხად.

საფრანგეთის მთავრობამ დაუყოვნებლივ აცნობა ინგლისის მთავრობას, რომ იგი სავსებით იწონებს ამ ინიციატივას და მომავალ კვირას დეპუტატთა პალატას წარუდგენს კანონპროექტს მოხალისეთა შეგროვებისა და გაგზავნის შეწყვეტის შესახებ. მაგრამ, ამ კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღი დამოკიდებული იქნება სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებაზე.

ფაშისტმა პირატებმა დააკავეს საბჭოთა გემი „სმიდოვიჩი“

მოსკოვი, 12 იანვარი (საქდესი). 8 იანვარს ესპანეთის მეამბოხეთა სამხედრო გემებმა ბისკაის ყურეში დააკავეს საბჭოთა გემი „სმიდოვიჩი“ და წაიყვანეს იგი მეამბოხეების მიერ დაკავებულ ერთერთ ნავსადგურში.

გემი „სმიდოვიჩი“ ლენინგრადიდან მიდიოდა სურსათ-სანოვაგის ტვირთით, რომელიც სრულიად — საკავშირო საექსპორტო გაერთიანებამ „ექსპორტხლებმა“ მიჰყიდა ესპანეთის რესპუბლიკურ სავაჭრო ორგანიზაციებს. გემზე იყო 1.850 ტონა ჭვავი, 919 ტონა ოსპი და 572 ტონა ხორბალი.

გერმანელებმა დაიწყეს 420 მილიმეტრიანი ქვემეხების დადგმა სეუტაში

პარიზი, 11 იანვარი (საქდესი). პრესა აქვეყნებს რადიოს სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტის დეპეშას. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ გერმანელებმა დაიწყეს 420-მილიმეტრიანი ქვემეხების დადგმა სეუტაში. ქვემეხების მოქმედების რადიუსი იქნება 50 კილომეტრზე მეტი, მათ შეეძლებათ ყუმბარები დაუშინონ გიბრალტარს.

ტანჟერიდან მიღებული ცნობებით, გერმანიის წარმომადგენელმა ბურგოსის „მთავრობასთან“ გენერალმა ფაუპელმა მოითხოვა ყველა ფრანგი მოხალისის გაძევება მეამბოხეთა არმიიდან. აღძრულია აგრეთვე საკითხი, რათა საომარი მოქმედების რაიონიდან გააძევონ საფრანგეთის კორესპონდენტები.

◇ ◇

საფრანგეთ-თურქეთის მოლაპარაკება ალექსანდრეტის სანჯაყის გარშემო

ანკარა, 11 იანვარი (საქდესი). სახალხო პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა თევფიკ რუშტი არასმა განაცხადა, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის ვიენოსა და პარიზელი ელჩის საუბრის დროს დადასტურებულ იქნა საფრანგეთის სურვილი მიაღწიოს შეთანხმებას ალექსანდრეტის სანჯაყის საკითხზე. დასასრულ არასმა განაცხადა:

„თუმცა არ არსებობს გარკვეული ნიშანი, რომელიც ნებას გვაძლევდეს გავითვალისწინოთ უთანხმოებათა შესაძლო გადაწყვეტა, მე მაინც მინდა ხაზგასმით აღვნიშნო საფრანგეთში შემჩნეული სერიოზული ტენდენცია, რათა ყურადღებით განიხილონ და სასწრაფოდ გადაჭრან სადავო საკითხი. საჭიროა გულმოდგინებით მოველოდეთ შემდგომ მოლაპარაკებას“.

პრემიერმა ისმეთ ინენიუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ, რამდენადაც ერთა ლიგას არ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თურქეთის თანხმობის გარეშე, პირდაპირი შეთანხმება თურქეთსა და საფრანგეთს შორის, როგორც ჩანს, წარმოადგენს ერთადერთ გზას, რომელსაც უნდა გაჰყვეს მთავრობა. ინენიუმ სთხოვა სახალხო პარტიას და თურქეთის საზოგადოებრივ აზრს გულდამშვიდებით და მოთმინებით ადევნონ თვალყური იმას, თუ რა შედეგი მოჰყვება მოლაპარაკებას უახლოეს 10—15 დღეში.

ავაგოთ ახალი თბომავლები!

ამხ. რედაქტორო!

გასული წლის 14 დეკემბერს ესპანეთის ფაშისტ-პირატებმა ცეცხლი წაუკიდეს და ჩასძირეს თბომავალი „კომსომოლი“. არც ერთს საბჭოთა მოქალაქეს არ შეუძლიან თავი შეიკავოს და ზიზღით არ შეხვდეს ფაშისტ-პირატების ამ საზიზღარ მოქმედებას. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა სათანადო პასუხს მოსთხოვს მათ, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა ფაშისტ-პირატების მსხვერპლი თბომავალი „კომსომოლი“ გავაცოცხლოთ და გავამრავლოთ ასჯერ, რაც ლახვარს ჩასცემს ფაშისტ-ბანდიტების ზრახვებს.

ამ მიზნით შემომაქვს ჩემი კუთვნილი პენსია (51 მან. და 20 კაპ. თვეში) მთელი 1937 წლის განმავლობაში, რისთვისაც ვთხოვ ჩოხატაურის რაიდამზღვევი სალაროს თავმჯდომარეს ჩემდა დაუკითხავად ჩემი პენსია გადარიცხოს ყოველთვიურად, 1937 წლის 1-ლ იანვრიდან 31 დეკემბრამდე, ახალი თბომავლების საამშენებლო ფონდში.

ამასთანავე დავსძენ, რომ მე 70 წელი შემისრულდა, მაგრამ თავს ვგრძნობ, როგორც ოცი წლის ახალგაზრდა, და როცა მოგვიხმობს საბჭოთა მთავრობა ფაშისტ-პირატების გონს მოსაყვანად, არამც თუ შაშხანის მაგრად დაჭერას შევიძლებ, არამედ ნახევარი კილომეტრის მანძილზე არც ერთ ფაშისტს ჩემს გასროლილ ტყვიას არ ავაცდენ და ვიქნები ჩვენი წითელი მებრძოლების მოწინავე რიგებში.

კონსტანტინე მათეს-ძე ჯიბლაძე

სოფ. შუა-განახლება, ჩოხატაურის რაიონი.

◇ ◇ ◇

სამრეწველო სამუშაოები ეკლარში

ეკლარის ქვა საუკეთესო და ძვირფას საშენ მასალათა რიცხვს ეკუთვნის. ამ ქვას (ფერად თეთრია) უმთავრესად შენობების მოსაპირკეთებლად ხმარობენ. მასზე დიდი მოთხოვნილებაა როგორც საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში, ისე საბჭოთა კავშირის ცენტრებში. ეკლარის ქვის დამუშავების საქმე, საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებით, 1937 წლიდან დაეკისრა ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

ქვის ამოღებისა და გამოზიდვის საქმის გასაფართოვებლად დაწყებულია რკინიგზის შტოს გაყვანა სადგ. რიონიდან ეკლარამდე. ამ ხაზის მშენებლობა დაჩქარებით მიმდინარეობს და სოფ. კვახჭირამდე იგი მზად იქნება 1 თებერვლისათვის. მთელი მშენებლობა კი დამთავრდება 1 ივნისისათვის და ამავე დროიდან გაიხსნება მოძრაობა.

მიმდინარე წლის ბოლომდე ეკლარში უნდა ამოიღონ და გამოიტანონ 30.000 კუბიკური მეტრი გაუთლელი ქვა და 9.000 კვადრატული მეტრი თლილი ქვის ფილები.

◇ ◇ ◇

თვითმფრინავი „მშრომელი ებრაელი“

საქართველოს „მემსის“ ქუთაისის განყოფილების საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: ქუთაისის აეროკლუბისათვის შეიძინოს და გადასცეს მას თვითმფრინავი „მშრომელი ებრაელის“ სახელწოდებით ამხ. ლ. ბერიას სახელობის აგიტესკადრილიისათვის, რომელიც იქმნება პარტიის საქალაქო კომიტეტის ორდენოსანი მდივნის ამხ. თ. კორსაველის წინადადებით.

თვითმფრინავის შესაძენად თანხა შეგროვილი იქნება მშრომელ ებრაელთა შორის.

საქ. „მემსის“ საბჭოს წევრებმა და მუშაკებმა ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმისათვის შეიტანეს თითომ 150 მან., ხოლო „საქმემსის“ პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. რ. ელიგულაშვილმა 200 მან. და იწვევენ „საქმემსის“ ყველა საოლქო და რაიონული განყოფილების მუშაკებს.

◇ ◇

თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოების თავმჯდომარეთა თათბირი

12—13 იანვარს თბილისში გაიმართა საქართველოს თავდაცვაავიაქიმის რაიონულ, საქალაქო და საოლქო საბჭოთა თავმჯდომარეების თათბირი. იგი მოიწვია საქართველოს თავდაცვაავიაქიმის ცენტრალურმა საბჭომ მასობრივი თავდაცვითი მუშაობის გაშლასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების განსახილველად.

თათბირმა მოისმინა ადგილების წარმომადგენელთა საინფორმაციო მოხსენებები თავდაცვაავიაქიმის მესამე ყრილობის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაზე, რომელიც თავდაცვაავიაქიმის პირველადს ორგანიზაციებს შორის მიმდინარეობს. ამასთან დაკავშირებით თათბირმა დაამუშავა თავდაცვაავიაქიმის საკავშირო საბჭოს დადგენილება „პირველადს ორგანიზაციებს შორის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“.

თათბირმა სპეციალურ საკითხად განიხილა საქართველოს თავდაცვაავიაქიმის ორგანიზაციებში ორგმასობრივი მუშაობის მდგომარეობისა და თავდაცვის კადრების მომზადების მიმდინარეობის საკითხი. თავდაცვის კადრების მომზადებაზე კომკავშირის თავდაცვაავიაქიმის და წითელი ჯვრის ორგანიზაციებს შორის გამართულია შეჯიბრება. გამომუშავებულია ღონისძიებანი საზოგადოებრივ-მასობრივი თავდაცვითი მუშაობის გასაშლელად ყველა ხაზით.

საქ. განსახკომის თბილისის 1-ლი საბავშვო ბაღი მომსახურებას უწევს 200 ბავშვს. მას დათმობილი აქვს დიდი ორ სართულიანი სახლი ბაღით. ბაღში ბევრია სათამაშოები, საბავშვო ავტომანქანები და სხვ. **სურათზე:** 1-ლი საბავშვო ბაღის ბავშვები თამაშობენ „ქუჩაში მოძრაობას“.

ფოტო ბუდეშტსკისა და სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ცირკში

თბილისის სახელმწიფო ცირკის უკანასკნელი პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესოა. პროგრამაში წარმოდგენილია საცირკო ხელოვნების თითქმის ყველა დარგი: ცხოველების მწვრთნელი და ილუზიონისტი, ჯამბაზი და ცხენზე მოვარჯიშე, ეკვილიბრისტი და სიცილის ოსტატი.

ორი თვისება ახასიათებს უკანასკნელ პროგრამას: პირველი, ცირკის ხელმძღვანელებმა შესძლეს მოეცათ მკაფიო და შესაქცევი სანახაობა მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა მსახიობების ძალებით, მეორე — ყველა ნომრის შესრულება მაღალ ტექნიკურ დონეზე დგას.

პირველ რიგში აღსანიშნავია ა. გ. კისო და ბისტროვი. პირველი ცხენების მწვრთნელია, მეორე — ძაღლებისა. მათი ცხოველები თავისუფლად და ძალდაუტანებლად ვარჯიშობენ და ბევრ საინტერესო ფიგურას აკეთებენ.

მუსიკალური ბუფონადის უთუოდ პირველხარისხოვანი წარმომადგენლები არიან ლავროვები. გარდა წმინდა მუსიკალური ნომრებისა, რომლებსაც ისინი საკმაო ოსტატობით ასრულებენ, მათი რეპერტუარი შეიცავს სახუმარო შაირებსაც, კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ ლავროვების ტექსტი საკმაოდ სრულფასოვანია და მათი სატირა ნიშანს ხვდება.

ზუსტად და ლამაზად მუშაობენ მავთულზე მსახიობები ორი იუნაი. მავთულს ცირკში ისეთივე ისტორია აქვს, როგორც თვით საცირკო ხელოვნებას. მაგრამ მსახიობები ამ „გაცვეთილ“ ნომერშიც ახერხებენ რაღაც სიახლის შეტანას.

მხატვრული აკრობატიკის საუკეთესო ნიმუშებს იძლევა მსახიობი მარატი. ის, რაც ამ ნომერს ევალება — უჩვენოს მაყურებელს ადამიანის სხეულის მოქნილობა და სილამაზე — სავსებით მიღწეულია.

სამწუხაროდ, სუსტად არის წარმოდგენილი კლოუნადა. ძმ. ფორდიკების ნომერი ვერც თავისი შინაარსით და ვერც შესრულებით პირველხარისხოვნად ვერ ჩაითვლება. არც ხალიჩაზე მომუშავე ბილვილს ახასიათებს საკმაო ენამახვილობა და გამომგონებლობა.

მთელი მესამე განყოფილება უჭირავს კიოს თავისი ასისტენტებით. კიო ილუზიონისტია და, უნდა ითქვას, ამ დარგში ფრიად დახელოვნებული არტისტია. მის ხელში საგნები და ადამიანები თვალისდახამხამებაში ჰქრებიან და ჩნდებიან. კიო იშვიათად მარდად და მოხერხებულად აკეთებს თავის ფოკუსებს, მისი „დანაშაულის ადგილზე“ დაჭერა ძნელია. კიოს ყველა ნომერი მხატვრულად არის გაფორმებული და ეს კიდევ უფრო აძლიერებს ინტერესს მისი ხელოვნებისადმი.

მკაფიო, მიმზიდველი და სადი სანახაობა მოგვცა ცირკმა პროგრამაში „სასიკვდილო ნომრების“ ჩაურთველად. მაღალკვალიფიციური არტისტების მოწვევა, ნომრების ყურადღებით შერჩევა უდაოდ დადებითი მოვლენაა თბილისის სახელმწიფო ცირკის მუშაობაში.

შ.

◇

სამზადისი ტურისტული სეზონისათვის

გასული წლის სეზონი ტურისტთა მომსახურების მხრივ უფერულად ჩატარდა, რაც უნდა მიეწეროს ბაზების მოუწყობლობას. ტურისტთა მომსახურება დავალებული ჰქონდა პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიათა საზოგადოებას, მაგრამ მან ვერ დასძლია ეს სამუშაო; ამან გამოიწვია მისი ლიკვიდაცია. ჩამოყალიბდა ახალი ორგანიზაცია საქართველოს ტურისტთა სამმართველოს სახით, რომელსაც დაევალა ტურისტთა მომსახურება საქართველოს ფარგლებში.

ტურისტთა სამმართველომ პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა მომავალი სეზონის მზადებისათვის. მოხდა ბაზების გადაკეთება. ფასანაურის ბაზა უზრუნველყოფილი იქნება ყოველმხრივ. მწვანე კონცხზე აშენდა ახალი სახლი 200 კაცისათვის, რომელიც კულტურულადაა მოწყობილი.

ტურისტთა სამმართველოს აქამდე არ გააჩნდა კადრები ბაზებში სამუშაოდ. ამჟამად მოსკოვში ერთთვიან კურსებზე გაგზავნილია 13 დისპეტჩერი, იანვარში გაიგზავნება 12 მეთოდისტი და თებერვალში 10 დირექტორი, რომლებიც კურსებიდან დაბრუნების შემდეგ შეუდგებიან ბაზებში მუშაობას.

გასულ სეზონში ტურისტთა მომსახურება ტრანსპორტით ძალიან ცუდად იყო დაყენებული, ავტო-ტრესტმა ვერ უზრუნველჰყო ტურისტთა გადაყვანა. ტურისტთა სამმართველომ უნდა მიაქციოს ყურადღება ამ საკითხს და უზრუნველჰყოს ბაზები ავტობუსებით.

რ. გვასალია

არჩილ ებრალიძის და მაესტრო ლისიცინის საჭადრაკო მატჩი. **სურათზე:** თამაშის ერთერთი მომენტი. მარცხნივ — ა. ებრალიძე, მარჯვნივ — მაესტრო ლისიცინი.

ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ჭადრაკი

დამთავრდა ებრალიძე — ლისიცინის მატჩი

11 იანვარს გათამაშდა გადადებული მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე პარტიები. ამ პარტიებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მატჩის საბოლოო შედეგისათვის. ორივე პარტია, რომ ყაიმით დამთავრებულიყო, მაშინ უკანასკნელი პარტიის მოგების შემთხვევაში ებრალიძე მატჩს ყაიმით დაასრულებდა.

მაგრამ მეთოთხმეტე პარტიაში, რომელიც რთულ მდგომარეობაში გადაიდო, ლისიცინმა ჩაიწერა სწორი, პარტიის მოსაგები სვლა და მიუხედავად შეუპოვარი წინააღმდეგობისა, ებრალიძე იძულებული გახდა დაეთმო პარტია. ამით მატჩის საკითხი უკვე გადაწყდა.

მეთხუთმეტე პარტია დასრულდა ყაიმით და უკანასკნელი პარტიის წინ მაესტრო ლისიცინს ჰქონდა ორით მეტი ქულა. ამიტომაც მატჩის მეთექვსმეტე პარტიაში, რომელიც ვეღარავითარ ცვლილებას ვერ შეიტანდა მატჩის საბოლოო შედეგებში, ბრძოლა თავიდან საყაიმოდ სწარმოებდა. პარტია ყაიმით დასრულდა. ამრიგად საკვალიფიკაციო მატჩში გამარჯვებული გამოვიდა მაესტრო ლისიცინი ანგარიშით 9:7.

მიუხედავად ფაქტიური დამარცხებისა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ლისიცინი ეკუთვნის საბჭოთა კავშირის სახელოვან მოჭადრაკეთა პირველი ათეულის ჯგუფს, ებრალიძის მიერ მიღებული შედეგი უსათუოდ მისი წარმატებაა.

მაესტრო ლისიცინმა არაერთხელ განაცხადა, რომ ებრალიძე უსათუოდ დიდი პოტენციის მოჭადრაკეა და იგი უეჭველად მაესტროს ძალით თამაშობს. მატჩის დასასრულს კი აღნიშნა, რომ მატჩისათვის საკავშირო საკვალიფიკაციო კომისიის რომ გამოეგზავნა სხვა მაესტრო პირველი ათეულის შემდეგ, ებრალიძე უეჭველად გაიმარჯვებდა. მატჩმა გამოააშკარავა ის ნაკლი, რომელიც ებრალიძის თამაშს ახასიათებს. სათანადო ვარჯიშის შემდეგ ებრალიძე შესძლებს გამოასწოროს ეს ნაკლი, იგი სულ მოკლე ხანში შევა, როგორც სრულუფლებიანი წევრი ჩვენი ქვეყნის მაესტროთა ოჯახში.

ებრალიძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად დამარცხებისა, იგი მატჩის შედეგით და განსაკუთრებით მატჩის განმავლობაში წარმოებული ბრძოლით კმაყოფილია. განსაკუთრებით მაკმაყოფილებს ის ფაქტი, რომ მატჩის საუკეთესო პარტიები მესამე და მეთერთმეტე — ჩემ მიერ არის მოგებული. მატჩმა მთელი სიცხადით გამოააშკარავა ჩემი თამაშის ნაკლი, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია საქართველოს ყველა მოჭადრაკისათვის. ეს ნაკლი მდგომარეობს სუსტ ტექნიკაში მოპოვებული უპირატესობის რეალიზაციის დროს. ჩემი მოვალეობაა გაათკეცებული ენერგიით ვიმუშაო ამ მიმართულებით, რათა სულ მოკლე ხანში მეტის სიმტკიცით ჩავება ბრძოლაში საბჭოთა კავშირის მაესტროს საპატიო სახელის მოპოვებისათვის.

ა. შ.

◇

ახალი ამბები

○ **ახალციხისა და კოლხიდის** მუზეუმები გამოცხადებულია რესპუბლიკური მნიშვნელობის მუზეუმებად. ორივე მუზეუმი 1937 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტზე გადაიყვანეს.

○ **„საქსოფპროექტი“** შეუდგა ვაჟევის, ყულარის, ხირსას და ვაზისუბნის საბჭოთა მეურნეობების გენერალურ დაგეგმვას. ეს მეურნეობები დაპროექტდება, როგორც ქალაქის ტიპის დასახლებანი.

○ **სასკოლო ბიბლიოთეკების** შევსებისათვის ახალი წიგნების შესაძენად განათლების სახალხო კომისარიატს წელს გათვალისწინებული აქვს 2.047.500 მანეთის დახარჯვა.

○ **თავდაცვა-ავიაქიმის** ქიმიური რაზმების საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრება იწყება 1 თებერვალს.

◇

ახალი წიგნები

გამოვიდა შემდეგი წიგნები:

ალ. სვანიძე — „შესავალი ალაროდიელ ტომთა ისტორიისა“ უნივერსიტეტის გამოცემა;

კ. ბაქრაძე — „სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“. (სადოქტორო დისერტაცია. უნივერსიტეტის გამოცემა).

ი. ბოჭორიშვილი — „მარქსიზმის კლასიკოსები დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“. (კრებული) სახელგამი.

ათ. ხარაბაძე: „არითმეტიკის მეთოდიკა“ დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა და პედტექნიკუმებისთვის.

◇

გასწორება

„კომუნისტის“ 12 იანვრის ნომერში, მე-4 გვერდზე მოთავსებულ ამხანაგ სტალინის მიერ დაწერილ პროკლამაციაში დაშვებულია კორექტურული შეცდომა. მეორე სვეტში, ზევიდან მეორე აბზაცში სწერია: „ვითომდა **ზოგი** იკეტება“. უნდა იყოს „ვითომდა **ზავოდი** იკეტება“.

მეხუთე გვერდზე, ცნობაში: „ტყიბული ჩაება მეტალურგთა საკავშირო შეჯიბრებაში“. მეოთხე სტრიქონში ნათქვამია: „დელეგაცია **ტყიბულში** მიემგზავრება“, უნდა იყოს „დელეგაცია **ჭიათურაში** მიემგზავრება“.

კრებები

— 15 იანვარს, საღამოს 7 საათზე, თბილისის განათლების მუშაკთა სახლის მცირე დარბაზში შესდგება ბესო ჟღენტის მოხსენება თემაზე: „ილია ჭავჭავაძის კლასიკური მემკვიდრეობა“.

თბილისის სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა დასწრება სავალდებულოა.

— 15 იანვარს, საღამოს 8 საათზე მწერალთა სასახლეში შესდგება პოლკოვნიკ გარსიაშვილის მოხსენება თემაზე: „მასალები სამხედრო ხელოვნების ისტორიისათვის „ვეფხის ტყაოსნის“ მიხედვით.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

14 იანვარს პროპაგანდისტთა სკოლის მეცადინეობა (რუსული ჯგუფები), დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

საქ. კ.პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ამხანაგ სტალინის მიერ რსდმპ ბათომის პირველი ლენინურ-ისკრული მიმართულების კომიტეტის ჩამოყალიბების 35 წლისთავი“. საღამოს 7 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „საკ. კ.პ. (ბ) ავანგარდული როლის შესახებ სოციალიზმის ეპოქაში“. საღამოს 7 საათზე.

○

— **კიროვის პარტრაიკომი იუწყება**, რომ დღეს, საღამოს 7 საათზე, რაიკომის სხდომების დარბაზში, პროპაგანდისტებისა, აგიტატორებისა და პარტაქტივისათვის გაიმართება მოხსენება თემაზე: „ამხანაგ სტალინის მიერ რსდმპ ბათომის პირველი ლენინურ-ისკრული მიმართულების კომიტეტის ჩამოყალიბების 35 წლისთავი“. ზემოთ ჩამოთვლილი ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

14-I	არსენა
15-I	არსენა

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

14-I წარ. № 82	ცხვრის წყარო
15-I წარ. № 83	ნინოშვილის გურია

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფილმი **დაპატიმრებულნი** სცენარი ნ. პაგოდინისა. რეჟისორი ჩერვიაკოვი.
დამკვრელი 6-45, 8-45, 10-45	
კომკავშირელი 6-30, 8, 9-30, 11	ხმოვ. მხატვრ. ფილმი **პირველი ოცეული**
რ. ლუქსემბ. დღით და საღ 6-30, 8, 9-30, 11	საქ. სახკინმრ. ხმოვ. ფილმი **ქაჯეთი** საბრძოლო ოლიმპიადა.
26 კომ. სახ. 6-30, 8, 9-30 11	საზღვ. ხმოვანი ფილმი **ანტეკი პოლიცმეისტერი**
ახალი ამბები 6-30	ესპანეთის ამბ.—გაძოშ. 10 ხმოვ. ჟურ. № 54, მეგობრულ მონღოლეთში

ჟურნალი „მშრომელი ქალის“
რედაქცია
გადავიდა ახალ ბინაზე:
ძერჟინსკის ქ. № 8.

ყოველგვარი მასალები გამოგზავნილი უნდა იქნას ზემოდ ნაჩვენები მისამართით.

ჟ. „მშრომელი ქალის“ რედაქცია.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალი
ღებულობს ასპირანტებს
მათემატიკის, გეოფიზიკის, ზოოლოგიის, ბოტანიკის, ასტროფიზიკის დარგში.
გამოცდები დაიწყება 10 თებერვლიდან.

განცხადებები მიიღება 25 იანვრამდე. ყოველგვარი ცნობების ძიება შეიძლება ფილიალის ასპირანტურის განყოფილებაში (მახარაძის № 14).

მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის თავმჯდომარის მაგიერ პროფ. მუსხელიშვილი.
1003

საქ. ადგ. მრეწვ. სახ. კომ. თბილისის სამუსიკო ინსტრუმენტების ფაბრიკამ
მოაწყო სარემონტო საამქრო.
მიიღება ყოველნაირი რემონტისათვის კლავიშიანი ინსტრუმენტები — როიალები და პიანინოები.
მისამართი — თბილისი, შაუმიანის ქ. № 36, ტელ. № 3-74-49.
დირექცია.



ბალანსი

საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახკომისარიატის ცეცხლ-გამძლე ნაკეთობათა ქარხანა „შროშისა“ 1936 წლის 1-ლი იანვრისათვის და მისი შეფარდება 1935 წლის 1-ლი იანვრის ბალანსის მონაცემებთან.

აქტივი	1935 წლ. 1 იანვრისათვის	1936 წლ. 1 იანვრისათვის
1. ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა		
ა) ძირითადი საშუალებანი მომქმედი	8.75.133—58	955.042—41
ბ) ძირითადი საშ. უმოქმედო	—	2.521—98
ს უ ლ	875.133—58	957.564—39
2. ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო და მოხმარებითი მნიშვნელობისა	80.172—50	90.626—42
3. საწარმოო მარაგი საწყობში და გზაში	45.599—88	51.956—66
4. დაუმთავრებელი წარმოება და ნახევარფაბრ	234.239—39	225.076—31
5. საქონელი და მზანაწარმი საწყობში, გზაში, გადაგზავნილი და სარეალიზაციოდ გამოყოფილი ფასეულობანი	91.696—50	117.981—24
6. ფულადი საშუალებანი	3.284—74	14.039—58
7. დებიტორები	131.074—45	122.200—29
8. მომავალი პერიოდის ხარჯები	20.139—99	15.332—06
9. გამოყოფილი საშუალებანი	1.000—50	3.947—01
10 შედეგი:		
ზარალი საანგარიშგებო წლისა	195.417—34	—
ბალანსი	1.677.758—87	1.598.723—96

პასივი	1935 წლ. 1 იანვრისათვის	1936 წლ. 1 იანვრისათვის
1 საწესდებო ფონდი	1.250.825—91	1.344.610—21
2. საამორტიზაციო ფონდი	—	13.000——
3. სპეცფონდები	2.728—96	2.728—96
4. რეზერვები	45.368—26	9.207—50
5. ანგარიშსწორება კაპიტალ. მშენებლობასთან	22.103—69	—
6. მოკლევადიანი (სახ. ბანკის) კრედიტები	117.635—00	103.500—00
7. კრედიტორები	222 097—05	107.361—46
8 შემოსავალი	17.000——	15,000—00
9 შედეგი:		
ა) მოგება საანგარიშგებო წლამდე	—	
ბ) მოგება საანგარიშგებო წლისა	—	3.315—83
ბალანსი	1.677.758—87	1.598.723—96

დირექტორი **ჯავახია.**

მთ. ბუხჰალტერი **თომასიძე.**

ეს ბალანსი განხილულია საქ. ადგ. მრეწველობის სახ. კომისარიატის სპეცკომისიაში, დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწვ. კომისრის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1587

საქ. ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატის მთ. ბუხჰალტერი **ჯანელიძე.**

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპ. № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67. სამდივნოსი: 3—06—88. განყოფილებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოსი — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, ღამის რედაქტორის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. №68.

მთავლიტის რწმუნებული ე. 8660